საქართველოს დიადი ლოჟა

უძველესი თავისუფალი და
აღიარებული ქვისმთლელთა (მასონთა) ორდენი

ცნობის ფურცელი **No5**

გამოცემაში ნახავთ:

„წმინდა გეომეტრია“

ჰერმეტიზმი

ევკლიდეს ოროცდამეშვიდე პრობლემა - მასონური სიმბოლო

ჯვრის სიმბოლიზმი

სიტყვის არსი მასონობაში

საქართველოს დიადი ლოჟა

ელ-ფოსტა: info@glg.ge

ვებ-საიტი: www.grandlodge.ge

Facebook გვერდი

https://www.facebook.com/GrandLodge.ge/

„წმინდა გეომეტრია“

რიცხვები, ამ სამყაროში, ფორმისა და ენერგიის წყაროს წარმოადგენენ, ისინი არიან დინამიურ და აქტიურ ურთიერთ-კავშირში, რიგ საკითხებში ადამიანური ბუნებაც კი ახასიათებთ. თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის, მასონებს მრავალი საერთო გააჩნიათ მათ წინამორბედებთან, ამასთან, ბევრი მათგანი, მათ შორის რიგი დიდი ლოჟის ოფიცრების ჩათვლით, ჩამორჩება იმ კრიტიკულ აზროვნებასა, ინტელექტუალურ ფასეულობებსა და გამოცდილებას, რომელიც მასონებს ახასიათებდათ და დომინირებდა გასულ საუკუნეებში. სამწუხაროდ, ჩემის აზრით, მასონების გარკვეული დიდი რაოდენობა და მათი საქმიანობა დაყვანილია „საძმოს“ და საქველმოქმედო საქმიანობაზე, ხოლო ის ღრმა ფილოსოფია, რომელზეც მასონობა იდგა, მეტწილად მივიწყებულია. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მასონობის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოს - ლათინური ასო “G”-ის ახსნა.

გაგრძ, გვ.2



„წმინდა გეომეტრია“

რიცხვები, ამ სამყაროში, ფორმისა და ენერგიის წყაროს წარმოადგენენ, ისინი არიან დინამიურ და აქტიურ ურთიერთ-კავშირში, რიგ საკითხებში ადამიანური ბუნებაც კი ახასიათებთ. თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის, მასონებს მრავალი საერთო გააჩნიათ მათ წინამორბედებთან, ამასთან, ბევრი მათგანი, მათ შორის რიგი დიდი ლოჟის ოფიცრების ჩათვლით, ჩამორჩება იმ კრიტიკულ აზროვნებასა, ინტელექტუალურ ფასეულობებსა და გამოცდილებას, რომელიც მასონებს ახასიათებდათ და დომინირებდა გასულ საუკუნეებში. სამწუხაროდ, ჩემის აზრით, მასონების გარკვეული დიდი რაოდენობა და მათი საქმიანობა დაყვანილია „საძმოს“ და საქველმოქმედო საქმიანობაზე, ხოლო ის ღრმა ფილოსოფია, რომელზეც მასონობა იდგა, მეტწილად მივიწყებულია. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მასონობის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოს - ლათინური ასო “G”-ის ახსნა. ჩვენი ძმების დიდ ნაწილს (მსოფლიო მასშტაბით), რომ ჰკითხოთ მისი დეფინიცია, ისინი მოგახსენებენ, - აღნიშნული ასო ღმერთის აღმნიშვნელიაო - „God“, მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ ამ შემთხვევაში ეს მხოლოდ ინგლისურ და მონათესავე ენებშია შესაძლებელი. ეს რომ სწორი პასუხი იყოს, მაშინ ფრანგულად, იტალიურად, ესპანურად და სხვა ენოვან ლოჟებში ასო „G“-ის ნაცვლად იქნებოდა ასო „D“ ან სხვა რომელიმე ასო. სხვათაშორის, არის რიგი ტრადიციული ლოჟებისა, სადაც „G“-ის ნაცვლად იოტას იყენებენ. ასეა თუ ისე, „G“-ი არა ღმერთს, არამედ „გეომეტრიას“, დედამიწის გაზომვას, აღნიშნავს. ძველმა ბერძნებმა ეს მეცნიერება ეგვიპტელ პირამიდებისა და სამშენებლო კომპლექსების მშენებელი ოსტატებისაგან შეისწავლეს. გეომეტრია წარმოადგენს ლიბერალურ მეცნიერებათა საფუძველს, საძირკვლის ქვას და მათში უმნიშვნელოვანესია. გეომეტრიის მეშვეობით წესრიგი, ჰარმონია და სინთეზი მიიღწევა, არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად, მატერიალურ სამყაროში. გეომეტრია არქეტიპების და ცხოვრების ფიზიკური მანიფესტაციასაც შეისწავლის.

გეომეტრიის უმნიშვნელოვანესი გამოვლინება ევროპაში, შუასაუკუნეების სქოლასტიკურ, თეოლოგიურ რეალობაში, გოთური ტაძრების მშენებლობაა, რომლებმაც მასონობას ახალი განვითარება მისცეს. საინტერესოა იმ პერიოდის ქრისტეს იმ გამოსახულებების დათვალიერება, სადაც იესოს ხელთ ფარგალი ღვთაებრივი ჰარმონიის სიმბოლური გამოხატულებაა.

„ოკულტური ფილოსოფიის სამ წიგნში“, კორნეულის აგრიპა აღნიშნავს, რომ მაგიისთვის მნიშვნელოვანია მათემატიკური დოქტრინა, აუცილებელიც კი, მათ კი ვისაც ეს არ ესმის, არასწორ გზას ადგას, მათი შრომა ფუჭია და სასურველ შედეგს ვერასდროს მიიღებენ. ყველაფერს, რასაც ჩვენ მატერიალურ ნივთებს ვუწოდებთ, ბუნებრივი წარმოშობის ელემენტებს, რიცხვები წარმოადგენენ და განასახიერებენ ამ „ნივთებს“ ურთიერთკავშირში. ამ ელემენტების წონა, ზომა, ჰარმონია, მოტივაცია და სინათლე, - ეს ყველაფერი მათემატიკური რიცხვებია! შესაბამისად მაგს, ბუნებრივი ფილოსოფიის ექსპერტს, მათემატიკის, არითმეტიკის, მუსიკის, გეომეტრიის, ოპტიკის, ასტრონომიის და მსგავსი მეცნიერებათა (რომლებიც წონის, ზომის და პროპორციის ცოდნაზეა დაფუძნებული) მცოდნეს, შეუძლია უამრავი განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი რამ განახორციელოს - შექმნას, რასაც ყოველი გონიერი და განათლებული ადამიანი აღიარებს და თაყვანს სცემს.

დღეს, გეომეტრიის მნიშვნელობა, ისე არ არის გაგებული, როგორც ეს უძველეს დროს იყო წარმოდგენილი მეცნიერებაში. ოსტატი მასონის მიერ „დაკარგული სიტყვის“ ძებნაც გეომეტრიული პროცესია, მას მხოლოდ სიტყვის შემცვლელს უმხელენ ხარისხის მიღების დროს. ფულკანელი ამტკიცებს, რომ კაბალა არის გასაღები, რომელიც თავის მხრივ იყენებს ციფრების ანბანს, ასოებსა და ციფრებს შორის დამოკიდებულებას, რომ დაგვანახოს, მიგვითითოს და მიგვანიშნოს ფარულ მნიშვნელობებზე, რათა მოვძებნოთ დაკარგული სიტყვა. როგორც ამტკიცებენ, წმინდა გეომეტრიის პრინციპები გამოყენებულია მრავალი დიდი მშენებლობისას, მათ შორის ტაძრების, კოშკების, სასახლეებისა და ქალაქებისაც კი - პარიზი და აშშzის დედაქალი - ვაშინგტონი ამის მაგალითად მოჰყავთ. გეომეტრია ხელოვნებაშიც აისახა - ორ განზომილებიანი სივრციდან სამ განზომილებიან სივრცეზე გადასვლით.

ფრანჩესკო გიორგი (1466-1540), ფრანცისკანელი (De Harmonia Mundi-ის ავტორი), ნეოპლატონიზმის გავლენის ქვეშ იყო, ამასთან კაბალისტი, რომელსაც ვენეციაში ებრაულ ლიტერატურაზე, საარქივო მასალებზე მიუწვდებოდა ხელი (იმ ებრაელებში, რომლებიც იმ პერიოდში მასობრივად გადმოსახლდნენ ესპანეთიდან, კათოლიკე მონარქების დევნის შედეგად). კაბალაში, ფრანჩესკო გიორგი ხედავდა ქრისტიანობის არსებობის, არსის უტყუარობას, მტკიცებულებას და ამასთანავე კაბალას პირდაპირ აკავშირებდა ჰერმეს ტრისმეგისტუსის ნაშრომებს. ფრანჩესკო გიორგიმ მთლიანად მოახდინა პითაგორა - პლატონისებური ნუმეროლოგიის ინტეგრაცია. რიცხვების მეშვეობით წმინდა გეომეტრიის კოსმიური ბუნება გამოავლინა.
პლატონი თავის დიალოგ „ტიმეოსში“ ახსენებს 5 სიმყარეს, რომლებიც თავის მხრივ ყველა ფორმის საწინდარია. ეს საწყისი სიმყარეები შემდეგი ფორმებია: ტეტრაჰედრონი, ოქტაჰედრონი, კუბი, იკოსაჰედრონი და დოდეკაჰედონი. ეს საწყისი ფორმები კარგად იყო ნაცნობი უძველესი მასონებისათვის. ეს ფორმები არ დაკარგულან და ქმნიან შვიდი ლიბერალური ხელოვნებისა და მეცნიერების საფუძველს. იოჰან კეპლერი ადარებს ამ ხუთ საწყის ფორმას მზის სისტემის ხუთ პლანეტას: მერკურის, ვენერას, მარსს, იუპიტერსა და სატურნს - და, შესაბამისად, მათი მეშვეობით აკავშირებს ამ ფორმებს ხუთ საწყისს ელემენტს: წყალს, ჰაერს, მიწას, ცეცხლს და ეთერს.

პროფანებისთვის მასონობაში ერთ-ერთი ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ელემენტია, ის ჩაცმულობა და აღკაზმულობა, რომელიც ამშვენებს თავისუფალ კალატოზებს რიტუალურ თუ საჯარო ცერემონიებზე. სხვადასხვა სახის წინსაფარი (აპრონი), საიუველირო სიმბოლიკა, მედალიონები, ოფიცერთა განსხვავებული ჩაცმულობა და რეგალიები, სამუშაო ინსტრუმენტები წარმოადგენენ სპირიტუალურ და მორალურ ფუნქციას, ინსტრუმენტს, მნიშვნელობას. ამ ნივთების, რეგალიის ტარება განეკუთვნება „მასონურ ჩაცმულობას“, მასში არაფერია ახალი, ეს ტრადიცია დასაბამიდან არსებობს, ლოჟაშიც განსაკუთრებული ატმოსფერო იქმნება, იმ ემბლემებს და სიმბოლიკასაც გარკვეული პატივი მიეგება, რომელიც გამოსახულია სხვადასხვა ოფიცრის რეგალიაზე - აღკაზმულობაზე. ადრეულ ხანებში, ინიციაციის და რიგი რიტუალის სიმბოლიკა იხაზებოდა იატაკზე ან დაფაზე, მერე კი იშლებოდა. ამ ფაქტმა მასონური ხალიჩების შექმნის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი. მასონების ტაძრებიც იხვეწებოდა, საუკუნეების განმავლობაში.

თვითონ „მასონური ტაძარი“ მასონური საფუძვლების თილისმაა, (ძვ. ბერძნული სიტყვა მიანიშნებს სხვადასხვა მაგიურ ნივთზე, რომელსაც განსაკუთრებული შესაძლებლობები ან ენერგია გააჩნდა). როდესაც მასონი მოძრაობს ტაძარში, მას სულ შეახსენებენ, რომ ეს განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას „წმინდა ნიადაგია“ მის ფეხქვეშ. საკურთხეველი და მთლიანად ტაძარი შექმნილია იმისათვის, რომ თვითონ შექმნან და განავითარონ მასონი, შეკრიბონ მასონები ერთად, ურთიერთდახმარებისა და საკუთარი თავის გაუმჯობესების პროცესში. აგრიპა ტაძარს სამგანზომილებიან თილისმას ადარებს. ხშირად ერევათ ამულეტი და თილისმა. ამულეტი მხოლოდ ნივთია, რომელსაც ბედი, იღბალი მოაქვს და არ არის შექმნილნი რიტუალურად. თუ დავაკვირდებით, როგორ ინახავს მასონი მის რეგალიას, მაშინ ამ რეგალიას მივაკუთვნებთ შუალედურ რგოლს, თილისმასა და ამულეტს შორის. რა თქმა უნდა, მასონური აღკაზმულობა არ არის მაგიური, კლასიკური გაგებით, ისინი ფორმალურ ფსიქოლოგიურ კონტექსტს, დამოკიდებულებასა და პატივისცემას ქმნიან, მათ გარეშე, ფაქტობრივად მუშაობა ჩვეულ სამოსში განხორციელდებოდა. მასონური აღკაზმულობა ჰირამ აბიფის ლეგენდიდან და მშენებელთა გილდიების დაფუძნების პერიოდიდან მოდის.

გეომეტრიული ფორმების უნიკალურობა და მაგიური შესაძლებლობები ცალსახად მხოლოდ შუასაუკუნოვან ევროპულ და რენესანსის კულტურასთან არ არის ასოცირებული. აღმოსავლურ და ახლო აღმოსავლეთის პრაქტიკაში, გეომეტრიულ წარმოსახვით ფიგურებს მანდალები ეწოდებოდა, ისინი კოსმოლოგიურ შეხედულებებს წარმოადგენდნენ სიმბოლურ ფორმებში. მანდალები გამოსახული იყო არამარტო ტილოზე, ქაღალდზე და ქვაზე, არამედ ტიბეტური ქვიშის ნახატების სახითაც ცნობილია, ისევე როგორც გამოისახებოდა სამგანზომილებიან მონუმენტებზე („სტუპა“).

ძველი კულტურები, ცივილიზაციები სიმბოლიზმში წარმოადგენდნენ ურთიერთობას იდეასა და ანგელოზების მიერ მიმართულ ენერგიას შორის, ფუნდამენტალურ ურთიერთობას ორ რიცხვს შორის. პერსონიფიცირებულ ფორმაში, ეს იდეები ძველ ეგვიპტეში ღმერთებად იქცა, ისევე როგორც მეზობელ ცივილიზაციებში. სოლომონის ტაძარი განასახიერებს ღვთიურ გამოცხადებას, ის არ წარმოადგენდა ერთჯერად ისტორიულ მოვლენას, არამედ ცირკულარებად, რეგულარულად განახლებადი გამოვლინებაა. ეს ტაძარი იყო სამყაროს კანონზომიერებათა გასაღები - რიცხვების, გაზომვითი ეტალონების და ჰარმონიის - გასაგებად და დასადგენად. სწორედ ამიტომ, ტაძრის რაინდებმა და სხვა მისტიურმა იდეალისტება სრულად მიუძღვნეს სიცოცხლე ტაძრის საიდუმლოებათა და მისტერიების გამოვლენას. ეს ტაძარი, გეომეტრიულად სრულყოფილად აგებული იყო, როგორც ფილოსოფიური ქვა, თილისმა, რომელიც უბრალო მეტალს ოქროდ აქცევდა, რომელსაც ახალი სინათლე შემოჰქონდა სამყაროში და აღადგენდა ბუნებრივ მდგომარეობას, შესაბამის პირობებს სამოთხისთვის დედამიწაზე.

ამავე კონტექსტში, შეგვიძლია განვიხილოთ მასონობაში ერთ - ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა, მინდა ვთქვა, მივიწყებული სიმბოლო - პენტაგრამა, მოკაშკაშე („მანათობელი“) ხუთქიმიანი ვარსვკლავი. აგრიპა ამტკიცებდა, რომ გეომეტრიული ფიგურები ძალაუფლებითა და ზეგავლენით აღჭურვილი, ისევე ძლიერნი არიან, როგორც ის რიცხვები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. რიცხვი ხუთი განეკუთვნება პენტაგრამას და მას უდიდესი ზეგავლენა აქვს ბოროტ სულებზე. აგრიპა აღწერს ადამიანს, მის სხეულს, გამოსახულს პენტაგრამაზე - ადამიანის სხეული არის ენერგეტიკულ ჰარმონიაში პლანეტების უხილავ ენერგეტიკასთან, ღვთაებრივი წინასწარმეტყველების ხელმძღვანელობით. მასონები პენტაგრამის ძალის, შესაძლებლობების და სიმტკიცის გავლენით იკრიბებიან და მუშაობენ, სამწუხაროდ, დღეს ბევრმა არ იცის ამ უძველესი სიმბოლოს შინაარსის და მისი ოკულტური მნიშვნელობის შესახებ. შოტლანდიური წესდების ოცდამერვე საფეხურზე ხდება მზის რაინდის, დარიგება და პენტაგრამის დანიშნულების ახსნა. ხუთქიმიანი ვარსკვლავი კაბალის მიხედვით მიკროპროსოპოსია, ადამიანის ფიგურაა, ოთხი კიდურით წვერზე და თავით ზევით, ჰორიზონტალურად აღმართული. ეს ნიშანი ისეთივე ძველია როგორც ისტორია, შეიძლება უფრო ძველიც ვიდრე ისტორია. მისი ბოლომდე გაგება ორი სამყაროს (სულიერისა და მატერიალურის) გასაღებია. ის არის აბსოლუტური ფილოსოფია (ჰერმეტიზმი) და ბუნებრივი მეცნიერება (ალქიმია). მაგიის ყველა მისტერია, გნოსტიკურ და ოკულტური ფილოსოფიის ყველა სიმბოლო, კაბალისტური წინასწარმეტყველების ყველა გასაღები, შეიძლება განვიხილოთ კრებითად პენტაგრამის ნიშნის ქვეშ, რომელიც ყველაზე დიადი ნიშანია.

ჰერმეტიზმი

ჰერმეტიზმი, ჰერმეტიკა ანუ დასავლური ჰერმეტიული ტრადიცია წარმოადგენს რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების, აზრების და ცოდნის კრებულს, ერთობას, რომელიც, რიგი მკლევარის მტკიცებით, აგრეთვე დაფუძნებულია ჰერმეს ტრისმეგისტუსის ფსევდო-ეპიგრაფულ ნაშრომებს. ამ შეხედულებებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია დასავლურ ეზოთერულ ტრადიციებზე და მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია ითამაშა რენესანსის და რეფორმაციის ხანაში. ბერძენი ღმერთის ჰერმესის სახელი ინგლისურ და ლათინურ ენაში 16 -17-ე საუკუნეში, „ჰერმეტიკული ნაშრომები"-ს ფუძეში გამოჩნდა. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჰერმეტიკა გარკვეულწილად იკვეთება და ურთიერთობს გნოსტიციზმთან, ნეოპლატონიზმთან და ადრეულ ქრისტიანობასთან. 1460 წელს, ჰერმეტიციზმი ხელახლა იქნა შეთავაზებული და შეხსენებული დასავლეთისადმი, ბერი ლეონარდო და პისტუას მიერ, რომელმაც Corpus Hermeticum-ი წარადგინა პისტუაში, რომელიც ფიჩინომ თარგმნა. ეს ბერი იყო ერთ-ერთი იმ „აგენტთაგანი", რომელიც ევროპის მონასტრებში იყვნენ შეგზავნილნი ფლორეციის მმართველი კოზიმო დე მედიჩის მიერ, ძველი ნაშრომებისა და მანუსკრიპტების აღმოსაჩენად. ლეონარდო ჰერმეტიკულ მანუსკრიპტებს დიდხანს ეძებდა პერაში, გალათაში, კონსტანტინოპოლში და სხვა ტერიტორიებზე. მას ამ საქმეში ბიზანტიის იმპერიაც მფარველობდა, მანამ სანამ 1453 წელს კონსტანტინოპოლი არ დაეცა თურქ - ოსმალების შეტევის შედეგად.

საინტერესო კვლევა ჩაატარა შვეიცარიელმა ფილოლოგმა, ისააკ კასობონმა, რომელმაც შეისწავლა ჰერმეტიკული ტექსტები „ლინგვისტურ სტილში" და დაადგინა, რომ ისინი არ ეკუთვნოდა ეგვიპტელ ქურუმ ტრისმეგისტუსს და ათარიღებდა მათ ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე ან მესამე საუკუნით. ამასთანვე, პლუტარქე, ტერტულიანე, პორფირი და სხვანი უკვე იცნობდნენ (და ახსენებდნენ კიდეც) ჰერმეს ტრისმეგისტუსის ნაშრომებს, ახალი წელთაღვრიცხვის პირველ საუკუნეში. მიუხედავად მრავალი გამოცემისა, თვით ჰერმეტიკოსები, ჰერმეს ტრისმეგისტუსს ორმოცდაორ წიგნს მიაწერენ. საინტერესოა, რომ მათი უმეტესობა, როგორც სხვა, კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, ტრაქტატი, მანუსკრიპტი [ხელნაწერი], ა.შ. განადგურებული იქნა ალექსანდრიის დიდ ბიბლიოთეკაში, ცნობილი დარბევისა და გადაწვის შემდგომ. საერთოდ ეს ფაქტი, ჩემის აზრით, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ვანდალურია! ჰერმეტიკული ფილოსოფიის ძირითადი სამი მთავარი ნაშრომია:

- Corpus Hermeticum, რომელიც ყველაზე უფრო ცნობილია და მოხსენიებულია ბერძნულ ტექსტებში. აქ ჩვიდმეტი წიგნია გაერთიანებული, რომელიც ჰერმესსა და რამდენიმე სხვა პერსონაჟს შორის დიალოგს გადმოსცემს. მაგალითად, პირველი წიგნი პოიმანდრეს და ჰერმესს შორის დიალოგს მოიცავს. პოიმანდრესი ანუ ნოუსი ანუ ღმერთი, ასწავლის ჰერმესს სამყაროს საიდუმლოებებს, რომელსაც, შემდგომ წიგნებში, თვით ჰერმესი ასწავლის ასკლეპიუსს და მის ვაჟს ტატს.
- ჰერმეს ტრისმეგისტუსის ზურმუხტის პლანშეტი მოკლე შრომაა და ეხება ოკულტურ წრეებში ყველასათვის ნაცნობ პრინციპს „რაც მაღლაა ის (იმდენივეც) დაბლაა". ამავე ტექსტში აღწერილია სამყაროს სამი სიბრძნის (ასტრონომია, ტეურგია და ალქიმია) არსიც. როგორც ამბობენ, ეს ნაშრომი ალექსანდრე მაკედონელმა აღმოაჩინა ჰებრონში, ჰერმესის სამარხში.
- სრულყოფილ ქადაგებაში, ასევე ასკლეპიუსის სახელით ცნობილ ნაშრომში, წარმოდგენილია სრულყოფილი სწავლება, რომელიც II-III საუკუნეებშია დაწერილი და Corpus Hermeticum - ის მსგავსია.

არის სხვა გამოცემებიც, მაგრამ ისტორიულად ეს სამი ნაშრომია ყველაზე გამორჩეული ჰერმეტიკულ და ნეოჰერმეტიკულ იდეებში. ბევრი ქრისტიანი მწერალი, როგორიც იყო ლაქტანტიუსი, ავგუსტინე, ჯორდანო ბრუნო, მარსილიო ფიჩინო, კამპანელა, მირანდოლა და სხვა, აღწერს და წარმოადგენს ჰერმეს ტრისმეგისტუსს, როგორც სხარტ და ჭკვიან წარმართ წინასწარმეტყველს, რომელმაც გაითვალისწინა, გათვალა და იგრძნო ქრისტიანობის გამოჩენა. მათ სწამდათ პრისკა თეოლოგიის, დოქტრინის, რომელიც ეყრდნობა მრწამსს, რომ თეოლოგია ერთია, ჭეშმარიტი და ყოვლისმომცველია, ღმერთის მიერ ადამიანისთვის ბოძებულ ყველა რელიგიაზე მაღლა დგას.

ვაღნიშნულის დემონსტრაციის მიზნით ქრისტიანებმა „ისესხეს" ჰერმეტიკული სწავლებები საკუთარი მიზნებისათვის. ჰერმესს ადარებდნენ მოსეს, ენოჰს, ნოესა და ეგვიპტელ ქურუმ - მეფეს ჰერმეს ტრისმეგისტუსს. მარსილიუს ფიჩინო წერდა, რომ ტრისმეგისტუსი „იყო ყველაზე დიდი და გამორჩეული ფილოსოფოსი, ქურუმი და მეფე".

ცოტაოდენი მარსილიო ფიჩინოს შესახებაც. ის დაიბადა 1433 წ. ფლორენციის ახლოს, შეისწავლა ფილოსოფია და მედიცინა. სწავლის პერიოდში დაიწყო ლუკრეციუსის თარგმნა და მთელი ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა ეპიკურიზმის კვალი. ის საკმაოდ ღრმად იცნობდა ასტროლოგიასაც. "სიცოცხლის სამი წიგნი" აჩვენებს, რომ მედიკამენტების მოქმედება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვარსკვლავების მდებარეობა ხელსაყრელია პაციენტის დაავადებული ორგანოსთვის.

ფიჩინო საუცხოოდ ფლობდა ლათინურ და ბერძნულ ენებს. გემისტო პლეთონის წინადადებით ის გახდა კოზიმო უფროსის მიერ დაარსებული პლატონური აკადემიის ხელმძღვანელი. გემისტო პლეთონი იყო ფლორენციაში 1439 წლის კრების დროს ჩასული ბიზანტიელი ფილოსოფოსი და ჰუმანისტი, რომელიც აცხადებდა, რომ დადგა მოსეს, ქრისტეს და მუჰამედის რელიგიური ტყუილის დასასრულის და კლასიკური საბერძნეთის ღმერთთა უსწრაფესი დაბრუნების დრო. 1463 წელს ფიჩინომ დაასრულა ჰერმეტიკულ ნაშრომთა თარგმნა და შეუდგა პლატონის დიალოგებს (დაასრულა 1469 წ-დე). 1473 წ. 40 წლის მარსილიო ფიჩინო, აკურთხეს მღვდლად, მას არასდროს მიუღწევია მაღალი სასულიერო წოდებისთვის. ფიჩინო ძირითადად მისი საყვარელი აკადემიით იყო დაკავებული. 1474 წელს, ნაშრომი "ქრისტიანული რელიგია" დაწერა. 1484-92 წლები ფიჩინომ პლოტინის თარგმნას, კომენტირებასა და გამოქვეყნებას მიუძღვნა. 1489 წელს, ფიჩინომ გამოაქვეყნა ნაშრომი ასტროლოგიასა და მედიცინაზე "სიცოცხლის სამი წიგნი". "ღმერთი ყველგანმყოფია", - ფიჩინო ასე ხედავს უძველეს ფორმულას, რომელიც განმეორებულია აღორძინების ხანის პლატონური ჰერმეტიზმის მიერ და რომლის თანახმად სამყარო არის სფერო, მისი წრეხაზი არსადაა და ცენტრი კი ყველგანაა. სფეროების მამოძრავებელი ძალაა კოსმიური სიყვარული. ყოველი სფერო მიისწრაფის მასზე უფრო სრულყოფილ, მასზე ერთი საფეხურით მაღლა მდგომ არსთან შეერთებისკენ. ფიჩინო ამ მხრივ ეთანხმება დანტეს კოსმოლოგიას. "ღვთაებრივი კომედიის" ჯოჯოხეთის, განსაწმენდლის და სამოთხის სამი საგალობელი (chants) თავდება ერთი და იგივე ლექსით: "სიყვარული, რომელიც ამოძრავებს მზეს და სხვა ვარსკვლავებს". სიყვარულით ამოძრავებული ეს სამყარო სულიერია, ყოველი მოძრაობა გულისხმობს სულს, როგორც მამოძრავებელ პრინციპს. ეს სამყარო ცოცხალია, მას ასულდგმულებს უნივერსალური, საყოველთაო სიცოცხლე, რომელიც წარმართავს ყველაფრის ზრდასა და აღორძინებას. "პლატონის თეოლოგიის" ზოგი პასაჟი გვახსენებს ვენერას ხოტბას, რომლითაც იწყება ლუკრეციუსის პოემა. ფიჩინოს მიერ აღწერილ სამყაროს მართავენ მსგავსება და სიმპათია, თანაგრძნობა.

მსგავსება - საგნები ერთმანეთს ეხმაურებიან ხილულის შიგნით, ასევე ხილულსა და ზეგრძნობადს შორის. ფორმის ანალოგია უდრის ფუნქციათა ექვივალენტურობას. შეიძლება ითქვას, რომ ფიჩინოსთან მეტაფორა და ანალოგია უდრის დემონსტრაციას. ოქროს აქვს მზის რაღაც ღირსება და ვერცხლს - მთვარისა და ისინი იზიდავენ ამ მნათობების ფარულ ძალებს. სულის შემადგენელი ოთხი განწყობა (humeurs) ჰგავს ოთხ სეზონს და მატერიის ოთხ ელემენტს.

სიმპათია - გრძნობადი, ხილული მრავალფეროვნების ერთიანობა, ხილული სამყაროს concordia discors-ს. არაფერია იზოლირებული სამყაროში, ყველაფერი აღწევს ერთმანეთში და შეერევა ერთმანეთს, ყველაფერი ირეკლება სარკეთა უსასრულო თამაშში. ასტროლოგია არის სიმპათიური, თანამგრძნობი სამყაროს მეცნიერება. თვით მშვენიერება, რომელიც იბადება მთლიანობაში ნაწილების სიმეტრიიდან, ჰარმონიიდან და სრულყოფილი შესაბამისობიდან. იგი არის ხატი ორგანიზებული კოსმოსისა, რომელშიც ვერცერთ ელემენტს ვერ შევხედავთ იზოლირებულად, სადაც ყოველ ელემენტს დავინახავთ მის ჰარმონიულ ურთიერთობაში მთლიანობასთან. მშვენიერების სრულყოფილი თანხმობა თავის თავთან არის ხატი კოსმიური ჰარმონიისა, რომელშიც ირეკლება შემოქმედის სიდიადე. სამყაროს მშვენიერება გამომდინარეობს მისი შემადგენელი ელემენტების სრულქმნილი პროპორციებიდან consonantias - ის და concordia discors - ის კანონების თანახმად. აქედანა არის ფიჩინოს მიერ ხშირად განმეორებული პითაგორული ანალოგია კოსმოსსა და მუსიკის პარტიტურას (partition) შორის.

მუსიკის ჰარმონია ჩვენთვის მშვენიერია მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩვენი ყურისათვის იმეორებს კოსმოსის სფეროთა ღვთაებრივ მუსიკას. სწორედ ამიტომ არის, რომ მსგავს ხატს სიმპათიითა და თანაგრძნობით ობიექტზე ეფექტური ზემოქმედება შეუძლია. ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ხედვას, მსგავსებათა აღქმისათვის ყველაზე მზა გრძნობას: ეპიკურეს და ლუკრეციუსის თეორიების თანახმად ხედვა, მხედველობა არის სახეთა, ხატების მატერიალური მიღება. თვალი მიკროკოსმში არის მაკროკოსმის ყველაზე მანათობელი ვარსკვლავი - მზის ხატი.

ხედვის ობიექტი მოქმედებს მხედველ სუბიექტზე. მაგალითად, ჭირიანთან შეხვედრა საკმარისია ჭირით დაავადებისთვის და ლამაზის მზერა საკმარისია „თვალებით სიყვარულის" გულამდე შესაღწევად. სიყვარული არის ჯადო, ჩვენ გვაჯადოებს ლამაზი ფიგურა, რომელიც გვიყურებს და ჩვენში აღვიძებს მარადისობის წადილს. ხილულ სამყაროში, სულის სრულებით ზეგრძნობად ბუნებას, ყველაზე მეტად უახლოვდება სინათლე, რომლის პრინციპადაც ფიჩინო თვლის უსასრულო სიჩქარეს. ცეცხლი, რომელიც თავისი წმინდა ბუნების გამო მეტად უახლოვდება სულიერ ბუნებას, ასევე იძენს უხორცო და დაუყოვნებლად მოქმედი სინათლის გაჩენის უნარს. ეს აძლიერებს სინათლისა და სულის მწვერვალი გონიერების ანალოგიას - გონი, ჭეშმარიტებას, ფაქტიურად იღებს მოულოდნელი გამოცხადებით და არა სილოგიზმის განვითარებით. მშვენიერება, რომელიც არის გრძნობადის ზეგრძნობადის მიმართ სიმპათიის, თანაგრძნობის ნიშანი, არის სინათლისა და მშვენიერების წყარო. სინათლე არის ერთგვარი ღვთაება, რომელიც ამ ქვეყნის ტაძარში იმეორებს მსგავსებას ღმერთთან. ღმერთის ყველა ქმნილებათა გამნათებელი სინათლე არის ღვთაებრივი სიცხადის ერთგვარი "დიდმშვენიერება".

იმეორებს რა, პლატონის "ნადიმში" ამოკითხულ დაპირისპირებას, ფიჩინო ამბობს, რომ ხილული სამყაროს მშვენიერება განსახიერებულია მიწიერ ვენერაში, ხოლო ზეგრძნობადი სამყაროს მშვენიერება - ციურ ვენერაში. სამყაროს მშვენიერება ხოტბას ასხამს შემოქმედის სიდიადეს: "ერთი ხანგრძლივი ჩვევა ასუსტებს აღფრთოვანებას. თუ კი მშობლებმა სულ პატარა ბავშვობიდან აღგზარდეს ყველა მხრიდან დახურულ სახლში, ისე რომ შენ არ შეგეძლო სამყაროს ამ წარმტაცი მშვენიერების დანახვა 30 წლამდე და თუ, სახლის კარის გახსნით შენ უეცრად გაჩვენეს ეს სამყარო, შენ იმდენად აღფრთოვანდებოდი მშვენიერებით და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ირწმუნებდი, რომ ყველაფერი შექმნა ერთადერთმა უნიკალურმა დიდოსტატმა და ყველაფერს ეს დიდოსტატი მართავს". ფიჩინოს მთელი ფილოსოფია შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც სიყვარულის ფილოსოფია. პლატონის ნაწარმოებებიდან ის ყველაზე დიდი სიამოვნებით კითხულობს "ნადიმს" და "ფედრს". არისტოტელეს მეგობრობის თეორიას და ციცერონის De Amiticia - ს ის უკავშირებს პავლეს სახელგანთქმულ წერილებს გულმოწყალებაზე, თანაგრნობაზე.

სული ნებით, მაგრამ ასევე გონიერებით (ვინაიდან მხოლოდ სიყვარულს ძალუძს ადამიანის ამაღლება ღმერთის ხილვამდე და უსიყვარულო გონიერებას არ ძალუძს ცოდნა) მთლიანად ამოძრავებულია სიყვარულის მიერ. მატერიალურ სამყაროსაც მთლიანად ამოძრავებს სიყვარული. სიყვარული არის წარმომქმნელი, წარმომშობელი, მშობელი ძალა, რომელიც ახდენს სამყაროს ორგანიზაციას და აჩენს ფორმას საწყის ქაოსში. სიყვარული არის აგრეთვე მიმზიდველი ძალა, რომელიც სამყაროს სულის მთლიანობაში აერთიანებს სამყაროს შემადგენელ ნაწილებს, სიყვარული არის ერთიანობის ღვთაებრივი პრინციპი. ადამიანური სიყვარული არის ღვთაებრივი სიყვარულის ანარეკლი გრძნობად, მატერიალურ სამყაროში და სიყვარულის ობიექტი არის როგორც გამოუთქმელი ღვთაებრივი მშვენიერების წინათგრძნობა.

შეყვარებულებმა არ იციან თუ რა უნდათ სინამდვილეში. სიყვარულის ობიექტისაკენ სწრაფვისას მათ სურთ ღმერთის ჭვრეტა: "აქედან გამომდინარე შეყვარებულის წადილს ვერ ამშვიდებს უმშვენიერეს სხეულთან სიახლოვეც. შეყვარებული მიისწრაფის არა სხეულისაკენ, არამედ სხეულში არეკლილი ღმერთის სიდიადისა და ბრწყინვალებისკენ და შეყვარებულს საგონებელში აგდებს და მისთვის მიუწვდომელია სწორედ ის, რაც მას აღაფრთოვანებს. სწორედ ამიტომაა, რომ შეყვარებულებმა არ იციან თუ რა სწადიათ მათ ან თუ რას ეძებენ ისინი, ვინაიდან მათ არ იციან, თუ ვინ არის ღმერთი რომელმაც თავის ქმნილებებში დატოვა ტკბილი არომატი.

სწორედ ეს არომატი გვაღელვებს ყოველ დღე". ფიჩინო პლოტინისგან იღებს ნარცისის ხატს. ნარცისისა, რომელიც კვდება რათა ჩაიხრჩოს თავისი სიყვარულის გრძნობად კერპში, ნარცისისა, რომელსაც არ შეეძლო ამ ხატი - ეკრანის უკან თავისი სიყვარულის ნამდვილი ობიექტის, შემოქმედი ღმერთის დანახვა. გამოდის, რომ სიყვარული არის დაბადება სულიერი სამყაროსათვის და სიკვდილი მატერიალური სამყაროსათვის, სიკვდილი საკუთარი თავისთვის და თავდავიწყება, საკუთარი თავის დაკარგვა სხვაში. პლატონი სიყვარულს უწოდებს მწარე რამეს. ეს მართალია, ვინაიდან შეყვარებული კვდება.

თვით ორფეოსმა სიყვარულს უწოდა ტკბილ - მწარე, ვინაიდან სიყვარული არის ნებაყოფლობითი სიკვდილი... ამბობენ, რომ შეყვარებული კვდება იმიტომ, რომ საკუთარ თავს ივიწყებს და ფიქრობს მხოლოდ სიყვარულზე... შეყვარებულის სული აღარაა მასში და ის ვინც აღარაა მასში აღარ ცხოვრობს მასში და ვინც აღარ ცხოვრობს - კვდება.

ამიტომაა, რომ შეყვარებული მკვდარია საკუთარი თავისთვის, მაგრამ ცხოვრობს ის სხვაში? რასაკვირველია! ღმერთის სიყვარული არის ყველა სიყვარულის ჭეშმარიტება. ყველანაირი მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ ღმერთში და შეყვარებულებს ერთმანეთი უყვართ ღვთაების საერთო განცდით.

სიყვარული, რომელიც არის ემოციური სწრაფვა ღვთაებრივისკენ, ამაღლებისკენ, არის აგრეთვე ყველანაირი ცოდნის ჭეშმარიტი წყარო. ნაშრომში "კომენტარები ნადიმზე" ფიჩინო იმეორებს პლატონის მიერ "ფედრში" ნახსენებ განრისხების და გაგიჟების ოთხ სახეს. სასიყვარულო სიგიჟე მიწიერი ვენერას თანახმად, პოეტური სიგიჟე მუზების თანახმად, მისტიკური გახელება დიონისეს თანახმად და წინასწარმეტყველური სიგიჟე აპოლონის თანახმად. პირველი, სულს სწყვეტს საკუთარ თავს და ასწავლის მას სიკვდილს. მეორე აღვიძებს მას კოსმოსის ჰარმონიის აღსაქმელად, მესამე არის განწმენდა, რომელიც ადამიანს სწყვეტს გრძნობადს და მის ყურადღებას აპყრობს არა მატერიელური სამყაროს მრავალფეროვან ბრწყინვალებას, არამედ მისი ერთიანობის პრინციპს. სიყვარული წარმოადგენს სულის ამაღლების პრინციპსა და მიზანს. ფიჩინო ასკვნის: "ყველა სიშმაგიდან ყველაზე ძლიერი და ყველაზე გამოჩენილია სასიყვარულო სიშმაგე". სიყვარული არის შთაგონების უნიკალური, ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, პოეტების და მხატვრების ღვთაებრივი სიგიჟე, furor divinus.

ჰერმეტიკა რელიგიად ტრანსფორმირდა, სადაც უმაღლესი ღვთაება მოიხსენიება როგორც „ღმერთი“, „ყოველი“ და „ის ერთი“. აბსოლუტი ჰერემტიზმის ყურადღების ცენტრალურ არეალშია, ამიტომ რთულია იმის განსაზღვრა თუ რა ადგილი უნდა მივაკუთვნოთ მას ტრადიციულ თეისტურ რელიგიებში, მონოთეისტურ და პოლითეისტურ სპექტრში. ჰერმეტიზმი, ორივეს - მონოთეიზმსაც და პოლითეიზმსაც სცდება, ისევე როგორც დეიზმს და პანდეიზმს, მას საკუთარი შეხედულებათა და რწმენის სისტემა გააჩნია, რომელიც ასწავლის ღმერთის ტრანსცენდენტულობას, ყველაფერი ან ერთი. ჰერმეტიკაში ხშირად შეგხვდებათ პრინციპი - „რამდენიც მაღლაა, იმდენიც დაბლაა“, ამ ფილოსოფიას ტაროს ბანქოში „მაგი“ გამოხატავს. ეს სიტყვები ხშირად გვხდება ოკულტურ და მაგიურ წრეებში და ეს გამოთქმა უძველეს ჰერმეტიკულ ტექსტებში მოიხსენიება - "რაც ქვემოთ არის შეესაბამება მას რაც მაღლა დგას, და ის რაც ზემოთ არის შეესაბამება, მას რომელიც ქვემოთ არის, მათ ერთად ძალუძთ სასწაული, რომელიც არის ერთი რამ".

ჰერმეტიზმის პრიზმაში აუცილებელია ჯორდანო ბრუნოს ფენომენის განხილვაც. საზოგადოდ მიჩნეულია, რომ ჯორდანო ბრუნოს მოსაზრებები არის კოპერნიკის იდეების გავრცობა. ცხადია, რომ კოპერნიკის ჰელიოცენტრიზმმა ბრუნოს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია. მაგრამ ბრუნო ძალიან თამამად ახდენს კოპერნიკის იდეების ინტერპრეტაციას და თავის მოსაზრებებს ჩვეულ პოეტურ ელფერს სძენს. ბრუნო ამტკიცებდა, რომ სამყარო უსასრულოა და მარადიული, რომ მასში თანაარსებობს უსასრულოდ ბევრი ცალკე სამყარო და თითოეული მათგანი აგებულებით კოპერნიკისეული მზის სისტემის მსგავსია. ბრუნო კოპერნიკზე შორს წავიდა - კოპერნიკს სამყაროს უსასრულობის საკითხი არ დაუყენებია. უნდა ითქვას, რომ ბრუნოს შეხედულებები ჰერმეტიზმის გავლენით ჩამოუყალიბდა. ჰერმეტიზმი გულისხმობდა არა მარტო ადამიანის განღმრთობას, არამედ თავად სამყაროსიც, სადაც ღმერთებიც ცხოვრობენ, ანგელოზებიც, ა.შ. -„გავკადნიერდეთ და ვთქვათ, რომ ადამიანი არის მომაკვდავი ღმერთი და რომ ღმერთი არის უკვდავი ადამიანი. მაშასადამე, ყოველივე იმართება სამყაროსა და ადამიანის მიერ“.

თვალი მოვკარი რიგ რელიგიურ გამოცემებში არგუმენტს, რომ ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციამ არა მეცნიერული მოსაზრებების გამო, არამედ სწორედ მისი რელიგიური შეხედულებების გამო დასაჯა: „სამყაროს უსასრულობის შესახებ თეორიაში ბრუნო თვით სამყაროს ანიჭებდა ღვთაებრივ თვისებებს. ამგვარი წარმოდგენა სამყაროზე ფაქტიურად უარყოფდა ქრისტიანულ იდეას შემოქმედის შესახებ, რომელმაც შექმნა სამყარო ეხ ნიჰილო (არაფრისაგან). ქრისტიანული შეხედულებების თანახმად, უფალი, რომელიც არის აბსოლუტური და შეუქმნელი არსება, არ ექვემდებარება მის მიერვე შექმნილ დროისა და სივრცის კანონებს, ხოლო ქმნილ სამყაროს არ ახასიათებს შემოქმედის აბსოლუტური თვისებები. როცა ქრისტიანები ვამბობთ: „ღმერთი მარადიულია“, ამით მარტოოდენ მის უკვდავებაზე კი არ ვმოწმობთ, არამედ, ვგულისხმობთ ასევე იმას, რომ იგი დროის მიღმაა. ბრუნოს ფილოსოფიაში კი უფალი სამყაროში ითქვიფება, ზღვარი შემოქმედსა და ქმნილებას შორის წაშლილია. ბრუნოს სწავლებით, ღმერთი პიროვნება არ არის, რის გამოც თავად ადამიანიც სამყაროს მტვერი ხდება, მსგავსად იმისა, როგორც მზის სისტემაა უმნიშვნელო და მიკარგული ბრუნოს „უსასრულოდ მრავალ სამყაროთა“ შორის“.

სწავლება პიროვნული ღმერთის შესახებ პრინციპულად მნიშვნელოვანია ქრისტიანული სწავლებისთვის ადამიანის შესახებ: ადამიანი პიროვნებაა, რადგან იგი შემოქმედის ხატად და მსგავსად შეიქმნა. სამყაროსა და ადამიანის შექმნა - ღვთაებრივი სიყვარულის გამოვლინებაა: „თუმცა, ბრუნოც საუბრობს სიყვარულზე, მაგრამ მის სწავლებაში იგი უპიროვნოა და ცივ კოსმიურ მისწრაფებადაა ქცეული. ყოველივე ამას კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა ბრუნოს გატაცება ოკულტური და ჰერმეტიკული სწავლებებით: აღსანიშნავია, რომ იგი პრაქტიკაშიც მიმართავდა მაგიას. გარდა ამისა, ბრუნო იზიარებდა „სულთა გადასახლების“ ოკულტურ თეორიას. მისი აზრით, „სულს შეუძლია იმოგზაუროს სხეულიდან სხეულში და ერთი სამყაროდან - მეორეში“ (აქ იგულისხმება მატერიალური სამყაროები). ყოველივე ამან განაპირობა მისი კონფლიქტი კათოლიკურ ეკლესიასთან.“ („ბრუნოს „მეცნიერების“ ყველაზე ზუსტი განსაზღვრება არისმაგია!“ - ასე ფიქრობს მავანი...ს.ა.).

რობერტსონი ადგა და საკუთარი თარგმანი შესთავაზა საზოგადოებას - Annuit Coeptis – „ის შეწევნით გვიყურებს ჩვენს წამოწყებაში", სადაც „ის"-ში ოსირისს გულისხმობს და Novus Ordo Seclorum – „ახალი მსოფლიო წესრიგი". ანუ რობეტსონის „აზრით" ეს წარწერა გვეუბნება, რომ - „ოსირისი თავისი თვალით, მზერით და ყველანაირი შეწევნით უყურებს ახალი მსოფლიო წესრიგის" შექმნა - დამკვიდრებას. იქვე „აბუქებს" თუ რა შეიძლება იყოს ეს „ახალი მსოფლიო წესრიგი" და ამ ყველაფერში მთავარ დამნაშა-ვეებად მასონები გამოჰყავს.

არ შემიძლია ავტორებს არ დავეთანხმო - ეს საკითხები ნამდვილად გამოიწვევდა მის კონფლიქტს ეკლესიასთან, ისევე როგორც გალილეოსა და კოპერნიკს გააჩნდა კონფლიქტი. საინტერესოა, უბრალოდ სად და როგორ ავლებენ რელიგიური მესვეურები საზღვარებს მეცნიერებასა, ფილოსოფიასა და ჰერმეტიზმს შორის. აზროვნება ქმნის მეცნიერებას, სწორედ აზროვნების გამო დაისაჯა მრავალი მეცნიერი.
ჰერმეტიზმში, ჰერმეს ტრისმეგისტუსის პირველ წიგნში, გვხდება დიალოგი ღმერთსა და ჰერმესს შორის, რომლის დროსაც, მედიტაციის შემდგომ, ღმერთი უყვება ჰერმესს თუ როგორ შექმნა სამყარო. სამყარო დაიწყო მისით, როგორც ღმერთით, როგორც ნების (ნებელობის) გამოვლენა, რამაც საწყისი მატერია და კოსმოსი შექმნა. საწყისი მატერიიდან ღმერთმა განაცალკევა ელემენტები: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. ღმერთმა უბრძანა ელემენტებს ემოგზაურათ წრეზე, მათგან შვიდი ციური სხეული შექმნა (მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, მზე და მთვარე) და დაეცვათ განგება. სამყარო მიწისა და წყლის გამოყოფით შეიქმნა, დასახლდა სულიერი არსებებით. ღმერთმა შექმნა ადამიანი, თავის მსგავსად და ხატად. შეუყვარდა ადამიანს ბუნება, რომელიც დაინახა, გახდა ის ბუნების ნაწილი და ბუნება კი გახდა კაცის ნაწილი, შეერწყნენ. გახდა ადამიანი მოკვდავი მისი სხეულით და უკვდავი მისი სულით. აი, ასეთი ხატოვან ისტორიას გვთავაზობს ჰერმეტიზმი.

მე აქ გავიხსენებ ერთ საინტერესო შეხედულებას, რომელიც ერთ-ერთ ქართულ ინტერნეტ ბლოგზე ამოვიკითხე. სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობია იმ ადამიანის ვინაობა, რომელიც შეწუხდა, რამდენიმე ავტორის და მკვლევარის ნაშრომი შეკრიბა, გაანალიზა და შემოგვთავაზა ჰერმეტიკული ცოდნის „კავკასიური აკვანის" ჰიპოთეზა. კავკასიაში ამ ცოდნის არსებობაზე მიუთითებს რამდენიმე ბერძნული მითი: ერთ-ერთი პრომეთეს ცნობილი მითია, ხოლო მეორე - ოქროს საწმისის მოსაპოვებლად არგონავტების კოლხეთში მოგზაურობა.

ანტიკური პერიოდის ავტორების ცნობებით, ეს საწმისი ალქიმიური შინაარსის შემცველი ტრაქტატი ყოფილა, ანუ ჰერმეტიზმთან გვაქვს საქმე, რადგან ზურმუხტის ფირფიტაზე დაწერილი პირველი ალქიმიური ტექსტის მსგავსად, ოქროს საწმისიც თავიდან ჰერმესის საკუთრებას წარმოადგენდა. რამდენიმე ევროპელი ავტორი კი იმასაც წერს, „რომ იასონი პირველი და ერთადერთი არ იყო, ვინც ალქიმიური წიგნისთვის კოლხეთში იმოგზაურა, კოლხეთში ეგვიპტელი ფარაონებიც ჩადიოდნენ ჰერმესის წიგნების წამოსაღებადო, ანუ კავკასიას ზოგი სწორედ ჰერმეტიზმის სამშობლოდ მიიჩნევდა"

ისე, რა საინტერესოა, რომ „ოქროს საწმისი" - ალქიმიური ტექსტი - კოლხეთში ომის ღმერთის ჭალაში ინახებოდა, ანუ ამ შემთხვევაშიც საბრძოლო ხელოვნება და ჰერმეტიზმი გაერთიანებული ჩანს, რაც ეტყობა მართლაც კავკასიური მოვლენა იყო. ძალიან საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მეოთხე საუკუნის ეგვიპტელი ალქიმიკოსი - ზოსიმე, რომელიც კავკასიონის მთაში „მცხოვრებ" პრომეთეს ეგვიპტელთა თოთთან (ანუ ჰერმესთან) და ბიბლიურ ადამთან აიგივებს. თუკი პრომეთეს გარკვეული წრეები ჰერმესად მიიჩნევენ, გამოდის, რომ ამირანიც ჰერმესის შესატყვისი ყოფილა.

ეს ყველაფერი „ქართლის ცხოვრების" ავტორებსაც უნდა სცოდნოდათ, ანუ IX-XI საუკუნეების საქართველოში ქრისტიან მოღვაწეებს ჰერმესის ნაშრომები უნდა ჰქონოდათ. კ. კეკელიძე წერს, რომ „ქართლის ცხოვრებაში" სხვა წყაროებთან ერთად გამოყენებულია "ასტროლოგიურ - კაბალისტური წიგნი ჰერმეს ტრისმეჯისტონისა, რომლის შინაარსი თეოსოფია, ალქიმია, ასტროლოგია, აგრეთვე ასოების, საუკუნეთა, შვიდეულისა და მისი დღეების კაბალისტიკური ახსნა - განმარტება ყოფილა. ეგვიპტური ტრადიციით კი ეს ყველაფერი თოთთან არის დაკავშირებული. მ. ჰოლი წერს, რომ "ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰერმესი ადამიანებს შორის დადიოდა, თავის მიმდევრებს მიანდო თოთის წმინდა წიგნი. ეს წიგნი შეიცავდა ინფორმაციას იმ საიდუმლო პროცესების შესახებ, რომლის მეშვეობითაც შეიძლება განხორციელდეს კაცობრიობის აღორძინება.

თოთის წიგნი გადმოგვცემდა მეთოდს, რომლის საშუალებითაც ადამიანს ეძლევა უნარი "იხილოს" უკვდავი არსებები, ანუ საუბარია გარკვეული ხედვის დაწყებაზე, "თვალის ახელვაზე", რაც ძველი ჰერმეტიკული მისტერიების მთავარ ამოცანას შეადგენდა.

ევკლიდეს ოროცდამეშვიდე პრობლემა - მასონური სიმბოლო

ევკლიდე ალექსანდრიელი ცხოვრობდა პტოლომეოს I -ის მეფობის ხანაში და ხშირად მოიაზრება, როგორც „გეომეტრიის მამა“. მისი მთავარი ნაშრომია „საწყისები“, რომელიც ერთ - ერთ ყველაზე წარმატებულ სახელმძღვანელოდ ითვლება მათემატიკის ისტორიაში. ამ თხზულებაში მან შეაჯამა ძვ. ბერძნული მათემატიკის განვითარების ადრინდელ პერიოდში მიღებული შედეგები და საფუძველი ჩაუყარა მათემატიკის შემდგომ განვითარებას. ეს ნაშრომი შეიცავს პლანიმეტრიის, სტერეომეტრიის და რიცხვთა თეორიის მრავალ საკითხს. მასში გეომეტრიულ ფიგურათა თვისებები განსაზღვრულია ხუთი აქსიომით, რამაც საფუძველი ჩაუყარა მათემატიკის აქსიომატიზაციას. ევკლიდეს ეკუთვნის ნაშრომები პერსპექტივებზე, კონუსურ კვეთებზე, სფერულ გეომეტრიასა და შესაძლოა მეორე რიგის ზედაპირებზე. გეომეტრია და შეხედულება კოსმოსის არსზე მასონობისთვის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ევკლიდეს ორმოცდამეშვიდე გეომეტრიული პრობლემის გამოსახულებაანდერსონის კონსტიტუციის გარეკანსაც ამშვენებდა, როდესაც იგი პირველად გამოიცა - 1723 წელს. გასათვალისწინებელია, რომ მეთექვსმეტე საუკუნეში, გეომეტრია თითქმის ყველა ხელოვნების მიმართულებისა და მეცნიერების გასაღები იყო, დაკავშირებული ბერძნულ და ეგვიპტურ მისტერიათა სკოლების სწავლებებთან, ჰერმეტული ცოდნის წყაროსთან და პითაგორასთან. რიცხვების შესწავლის მეშვეობით და კაბალას რამდენიმე სისტემის - გემატრიას, ნოტარიკონის და თერუმარსის გამოყენებით, უძველი ტექსტების საიდუმლოთა გაგება და გააზრება გახდა შესაძლებელი. რიცხვებისა და ასოების შერეულმა სისტემამ დანერგა ახალი მაგიური მექანიზმები, წარმოშვა ახალი სიტყვები და კავშირები.

პითაგორას თეორემა არის ურთიერთდამოკიდებულება ევკლიდეს გეომეტრიაში მართკუთხა სამკუთხედის სამ გვერდს შორის. თეორემას სახელი ბერძენი მათემატიკოსი პითაგორას გამო დაერქვა, რომელმაც პირველად დაამტკიცა მისი მართებულობა. თეორემა შემდეგში მდგომარეობს:

ვთქვათ c არის ჰიპოტენუზის სიგრძე, ხოლო a და b დანარჩენი ორი გვერდის (კათეტის) სიგრძე, მაშინ თეორემა შემდეგი ტოლობით გამოიხატება:

$$a^2 + b^2 = c^2.$$

ეს ტოლობა გამოხატავს მარტივ ურთიერთდამოკიდებულებას მართკუთხა სამკუთხედის გვერდებს შორის, ანუ თუ მისი ორი ნებისმიერი გვერდის სიგრძე ცნობილია, მესამის გამოთვლაც შესაძლებელია. ამ თეორემიდან გამომდინარეობსკოსინუსების თეორემაც, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ნებისმიერი სამკუთხედის მესამე გვერდი, თუ ცნობილია ორი გვერდის სიგრძე და მათ შორის მდებარე კუთხე. ამ თეორემის შებრუნებული ვერსიაც (კონვერსია) ასევე ჭეშმარიტია: ნებისმიერ სამი დადებითი რიცხვისთვის a, b, და c სადაც a2 + b2 = c2, არსებობს სამკუთხედი გვერდებით a, b და c, და ყოველ ასეთ სამკუთხედს აქვს მართი კუთხე გვერდებს a და b შორის. დიდხანს თვლიდნენ, რომ პითაგორამდე ეს თეორემა არ იყო ცნობილი, ამიტომაც დაარქვეს მისი სახელი, მაგრამ პითაგორამდე მას იყენებდნენ ძველი ეგვიპტელები, ბაბილონელები, ჩინელები, ინდოელები და უძველესი სამყაროს ხალხები, სხვადასხვა ამოცანების ამოხსნისას. პრაქტიკაში მართი კუთხის ასაგებად (ანუ ურთიერთ მართებული წრეების ასაგებად) იყენებენ სამკუთხედს, რომლის გვერდებია 3, 4, 5, რაც, ცხადია, ცნობილი იყო ძველი აღმოსავლეთის ხალხებისათვის. სწორედ ასეთი პროპორციებითაა ნაკვეთი არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ჰეფრენის პირამიდის ფილები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხეოფსის ცნობილ პირამიდაში ე.წ. სამეფო ოთახის ზომებს აქვს სწორედ 3, 4, 5 ციფრებთან კავშირი.

ძველი ინდოეთის მათემატიკური ცოდნის ფასეულ წყაროს წარმოადგენს წიგნი ,,თოკის წესები" (სულვა - სუტრა), რომელიც მიეკუთვნება ძვ.წ.აღ-ის VII-V საუკუნეებს. წიგნში დიდი ნაწილი დაეთმო მართი კუთხის, კვადრატის და სამკუთხედების აგებას. მასში მოყვანილია პითაგორას თეორემაც. პითაგორამ მხოლოდ მოგვცა ამ თეორემის პირველი განზოგადება და მკაცრი დამტკიცება, გადაიტანა ეს მტკიცებულება პრაქტიკიდან მეცნიერებაში.

ბუნებრივია, რომ პითაგორელებისთვის, რომლებიც ციფრებში მისტიკას ხედავდნენ, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა სამკუთხედები, რომელთა გვერდები გამოსახული იყო მთელი რიცხვებით და აკმაყოფილებდნენ პირობას: a2 + b2 = c2. ასეთ სამკუთხედებს ეწოდებათ პითაგორას სამკუთხედები. ამიტომ, თეორემის დამტკიცებასთან ერთად, პითაგორელებმა მიაგნეს ე.წ. ,,პითაგორას რიცხვების" (n, (n2-1)/2, (n2+1)/2, სადაც n კენტი რიცხვია) სამეულის უსასრულო მწკრივს. მოგვიანებით აღმოჩენილ იქნა აგრეთვე სხვა დამოკიდებულებები, რომლებიც იძლევა, "პითაგორას რიცხვების" პოვნის საშუალებას. მაგ.: პლატონის თანახმად, ,,პითაგორას სამეული" შეიძლება მოიძებნოს შემდეგი სახითაც: n; (n/2)2-1; (n/2)2+1, სადაც n ლუწი რიცხვია. მათემატიკის ისტორიკოსები თვლიან, რომ პითაგორას თეორემა ჯერ დაამტკიცეს ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედებისთვის. ეს სამკუთხედები ხშირად გვხვდება ორნამენტებში და წააგავს კვადრატებისა და მისი დიაგონალების ბადეს. იმ კვადრატის ფართობი, რომელიც აგებულია ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე, ტოლია კათეტებზე აგებული კვადრატების ფართობთა ჯამის. ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედი ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატი შეიცავს 4 სამკუთხედს, ხოლო კათეტებზე აგებული კვადრატები - ორ - ორ სამკუთხედს.

საუკუნეების განმავლობაში ეს თეორემა მრავალჯერ იქნა დამტკიცებული. ამჟამად, იგი არის რეკორდსმენი თეორემა განსხვავებულ დამტკიცებათა რაოდენობის მიხედვით და შესულია გინესის რეკორდების წიგნში. დამტკიცებათა ერთი ნაწილი დაფუძნებულია კვადრატის დაყოფაზე - ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატი შედგება ნაწილებისგან, რომლებიც აგრეთვე ეკუთვნის კათეტებზე აგებულ კვადრატებსაც; მეორე ნაწილი ეფუძნება ტოლდიდ ფიგურებამდე შევსებას; მესამე ნაწილი კი იმას, რომ მართი კუთხიდან ჰიპოტენუზაზე დაშვებული სიმაღლე სამკუთხედს ჰყოფს მის მსგავს ორ სამკუთხედად. ევკლიდეს 47-ე გეომეტრიული პრობლემის პითაგორული ამოხსნით შესაძლო გახდა რუკების წარმოება, განედისა და გრძედის კალკულაცია, მზემდე, მთვარემდე და სხვა პლანეტებამდე დედამიწიდან დისტანციის დადგენა. ლოჟის ყოფილი ღირსეული ოსტატები ხშირად ატარებენ ევკლიდეს 47-ე გეომეტრიული პრობლემის ამსახველ სიმბოლიკას.

ამით ისინი გვახსენებენ ხელოვნებისა და მეცნიერების პატივისცემის აუცილებლობას, რასაც ეფუძნება საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრებისა და გარშემომყოფთა გაუმჯობესება და განვითარება. ეს სიმბოლო ასახავს იმ გარემოსაც, რომ შესაძლოა ცხოვრებაში რაღაც წარმოიწყო საკმაოდ გაუგებარ ვითარებაში, მაგრამ გარკვეული მონდომების შედეგად, ჰარმონიულად ცენტრში, იდეალურ სივრცეში და განზომილებაში მოხვდე.

ჯვრის სიმბოლიზმი

სიმბოლოები და ჟესტები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ დასავლურ მისტიკურ ტრადიციებში. ჯვარი კი, მათში ყოველთვის ყველაზე გამოკვეთილი გახლავთ, მას უდიდესი ზეგავლენა გააჩნია დასავლელ მისტიკოსებზე და უძველესი სიბრძნის მაძიებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯვარი დღეს მხოლოდ ქრისტიანულ სიმბოლოდ მიაჩნიათ, ის არსებობდა გაცილებით ადრეულ მისტერიებშიც. ეგვიპტური ტაუ-ჯვარი და ანჰი, ჯვარი ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულებით, ჯვარი ვარდით - რენესანსის ეპოქის ალქიმიკოსთა სიმბოლო, ვატიკანის გვიანდელი მაცხოვრის ორმაგი ჯვარი - ყოველივე ეს, ერთი და იგივე სიმბოლოს ვარიაციაა, რომელიც კაცობრიობის ღმერთისადმი კავშირად და გზამკვლევად მიიჩნევა. ჯვარი წარმოადგენს ორ - ვერტიკალური და ჰორიზონტალური წრფეს, ანუ აქტიურ და პასიურ პრინციპებს. როდესაც ეს ორი ძალა ერთიანობაში მოდის, იკვეთება, ჩვენ მესამე ძალას - იდეას და არსებობას ვიღებთ. თუ ვსაუბრობთ სექსუალურ სიმბოლიზმზე, მაშინ ის წარმოდგენილია სწორედ ჯვრის სახით, ფსიქოლოგიურ და სულიერ დონეზე. მაგალითად ეგვიპტური ანჰი, ანუ ჯვარი „კვანძით" (თავზე წრით), სწორედაც წარმოადგენს საუკეთესო ნიმუშს ადრეული სექსუალური („მშობადი") სიმბოლიზმისა, თუმცა მოგვიანებით მისი ინტერპრეტაცია რატომღაც დადის მხოლოდ სასიცოცხლო ძალასთან და ღვთაებრივ ძალაუფლებასთან, როგორც ასეთთან.

იუნგი ჯვრის წარმოშობის საკმაოდ საინტერესო იდეას გვთავაზობს: მისი აზრით, ჯვარი პირველყოფილ ადამიანებში გამოჩნდა, ცეცხლის აღმოჩენასთან ერთად, რადგან ცეცხლის ასანთებად საჭირო იყო ორი გადაჯვარედინებული ჯოხი, რომელთა სწრაფი ურთიერთხახუნით წარმოიქმნებოდა ნაპერწკალი და ინთებოდა ცეცხლი. ცეცხლი კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა სითბოს, დაცვას და ადამიანს ეფექტური სამუშაო იარაღების შექმნაში ეხმარებოდა. ჯვარი, ამ მხრივ, ვეთანხმები რა იუნგის პოზიციას, შეიძლება როგორც ცეცხლის სიმბოლოდ ისე აღვიქვად. ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა ენაში ჯვარს აღნიშნავენ, აი მაგალითად, krois, krouz, kreuz, crux, cruz ან croaz, აქვთ ეტიმოლოგიური საერთო ისეთ სიტყვებთან, რომლებიც ცეცხლს აღნიშნავენ. ამ სიტყვების ყველა ფუძე და ფესვი - ak, ur, or, os- კოსმიურ სინათლეს, და ცეცხლს აღნიშნავს.

მრავალმხრივი ჯვარი სიმბოლურად ასახავდა ოთხ ბუნებრივ ელემენტს, ოთხ ადამიანურ რასას, ზოროასტროს ოთხ ცას და მათ აღწერას იუდაისტურ კაბალაში. შემდგომ გაჩნდა წელიწადის დროთა ოთხი ახსნა, ცხოვრების ოთხი სტადია, მოკლედ ყველა ასოციაცია, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრებასთან, სიკვდილთან და აღორძინებასთან. პლატონი ტიმეოსშიწერს, თუ როგორ დემიურგმა „მსოფლიო სულის" განცალკევებული ნაწილები ორი ნაკერით ერთად შეკერა, ისეთი ნაკერით, რომლის ფორმაც წმინდა ანდრიას ჯვრის (X) მსგავსია. ეგვიპტური ანჰი ბევრისთვის დღემდე რჩება აღდგომის და ზოგადად მარადიული ცხოვრების სიმბოლოდ, რადგან ადამიანის ფიგურას ჰგავს, - ადამიანისა, რომელიც ყოველ ახალ დღეს ეგებება და მიესალმება, გაშლილი ხელებით და მაღლა აწეული თავით. ერთი თეოსოფი ამ პოზას „მადონას პოზას" უწოდებს - გეგონება ჩვენ ვცდილობთ მოვეხვიოთ სრულყოფილად მთელს არსებულს, შექმნილს. ეს ქალბატონი წერს, რომ მსგავსი პოზიცია დადებითად აისახება გულზე, გვიბიძგებს ღიაობისაკენ და თანაგრძნობისაკენ, ვინაიდან სწორედ გულში ერთიანდება და იკვეთება ჯვრის ორივე წრფე. შუასაუკუნეებში ჯვარი ქრისტეს ჯვარცმასთან არის ასოცირებული, შესაბამისად სწორი (+) ჯვარი ხდება ღვთაებრივი ძალის, სიკვდილზე და უმეცრებაზე გამარჯვების სიმბოლო. ლოგიკურად, ამოტრიალებული ჯვარი, რომელიც მოგვიანებით გამოჩნდა, განიხილება როგორც ქრისტეს შეწირვის უარყოფა, ღვთის გმობისა და დემონური ძალების სიმბოლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიშანს თავისი ისტორია გააჩნია: ასეთ ჯვარზე (ამოტრიალებულ ფორმით) წმინდა პეტრემ საკუთარი ჯვარცმა ითხოვა, ვინაიდან თვლიდა, რომ არ იმსახურებდა იგივე (ფორმით) ჯვარცმას, როგორც თვით იესო.

სხვადასხვა მისტიური დოქტრინა იყენებდა მრავალი ფორმის ჯვარს კოსმიური ძალის, გონის რითმის, ენერგეტიკული მოდინებისა და პოტენციალის აღსანიშნავად. ინგლისში ჯვარი ასოცირდება ხის ჯიშთან, რომელიც სასაფლაოებზე ამოდის და საინტერესოა, რომ შუასაუკუნოვან თქმულებებში და სიმღერებში ქრისტე მოიხსენიებდა, როგორც „ხეზე ჩამომხრჩვალი", როგორც ღმერთი ოდენი. ქრისტიანი მისტიკოსები მოგვიანებით კაბალაზე დაყრდნობით ცვლიან ამ ტერმინს „ცხოვრების ხე"-დ. ჯვრის სიმბოლოს გამიზნული გამოყენებით, ჩვენ შევძლებთ შინაგანად შევქნათ მდგომარეობა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სულიერ ექსპერიმენტებს და ჩვენი გაგების, შეგნების, შემეცნების გაფართოებას. გაფართოებას. სინამდვილეში ადამიანი ღია წყაროა, არხია, მზად არის იმისათვის, რომ პირდაპირ მიიღოს კოსმოსური სიბრძნე, უნივერსალური სიყვარული და შემქმნელის ძალა, იმისათვის, რომ გაავრცელოს ისინი საკუთარ ცხოვრებაზე და მთელს დანარჩენ სამყაროზე მთლიანობაში, რომელიც მის გარშემოა.

ქრისტიანული მისტიციზმი, ამ მდგომარეობას, სამყაროს ღერძს უწოდებს - „axis mundi" - მიწისა და ცის ღვთაებრივ ქორწინებას. საკუთარ წიგნში - „რიტუალის წარმოშობა და გამოყენება", როშე დე კოპენსი ახდენს როზენკროიცერული ტექსტის ციტირებას, რომელშიც ვინმე „ეპისკოპოსი თეოდორე" წერს შემდეგს: „როდესაც ჩვენ ვამბობთ „სახელითა მამისა" და ჩვენს თითებს შუბლზე ვიდებთ, ჩვენ პირდაპირ მივანიშნებთ სხეულის იმ მნიშვნელოვან ორგანოზე, რომელიც ოდნავ დაბლა მდებარეობს იმ ადგილსა, სადაც ღმერთი ჩვენ „თავისი სიდიადით" გვმართავს. ჩვენი ზეციერი მამისადმი სიყვარულზე ფიქრებს მოჰყავთ მოძრაობაში ვიბრაციები, ააქტიურებს „გვირგვინის" ღვთაებრივ არსს და ჩვენს გულებში მოძრავ უხილავ თეთრი სინათლის ნაკადს. „გვირგვინის" ასეთ აქტივაციას აღწერს წმინდა პეტრეც. როდესაც ჩვენ ვამბობთ „და ძისა" და ჩვენ თითებს გულთან ვიდებთ, აღვნიშნავთ იმ ადგილს ჩვენს სულიერ სხეულში, სადაც არის ღვთაებრივი სინათლე, რომელიც წინასწარმეტყველ ისაიას სიტყვებით „გადმოედინება ცის კაბადონიდან". ხოლო, როდესაც ჩვენ ვამატებთ „და წმინდისა სულისა", მოწიწებით ვეხებით თითებით ჩვენს მარჯვენა და მარცხენა მკერდს, ამით ჩვენ ვააქტიურებთ იმ მგრძნობიარე წერტილებს, რომელიც წმინდა სულის ცოცხალი ძალის მანიფესტაციას ახდენს ჩვენს არსებობაში. და ბოლოს, როდესაც ჩვენ წარმოვთქვამთ „ამინ"-ს და ვადასტურებთ ამით წმინდა სამებისადმი რწმენასა და მის ყოფნას ჩვენში, ამით ჩვენ ვასრულებთ და ვაკავშირებთ სულიერ დინებებს ჩვენს ნატიფ სხეულში, ვცდილობთ რა გავახანგრძლივოთ გამოფხიზლებული გაგების მდგომარეობა ჩვენში, რაც შეიძლება მეტი ხანი". ჯვრის გამოსახულების ტარებით, ჩვენ მივაღწევთ შიდა სულიერ გაბრწყინებას, აღდგომასა და გადარჩენას. როგორც კონსტანტინე მიდიოდა "ჯვრის გზით", ასევე ჩვენც გვესმის „via crucis" ეზოთერული მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კოსმიური სიბრძნის და უნივერსალური სიყვარულის გაგებით, მიღებით და მოწოდებით და მათი წმინდა შემოქმედის სულით დაკავშირებით, ჩვენ ვგრძნობთ და შევიმეცნებთ იესოს ჩვენს შიგნით. როცა ეს მოხდება, ჩვენი საზოგადოება გახდება ჭეშმარიტად სულიერი, მიიღებს წირვის სახეს, რომელშიც ჩვენ ყველა "ქრისტეს საიდუმლო სხეულის" ნაწილები ვიქნებით. სწორედ ასეთ ჭეშმარიტ მორწმუნეთა დამოუკიდებელ ეკლესიაზე წერდა თავის დროზე კარლ ფონ ეკარტჰაუზენი („ღრუბელი საკურთხევ

> „აუცილებელია, ჩემო ძმებო, განგიმარტოდ თქვენ ჭეშმარიტი რაობა და შინაარსი შინაგანი ტაძრისა, ვინაიდან ღმერთის საზოგადოება გაფანტულია მსოფლიოში, მაგრამ იმართება ერთი იდეით და გაერთიანებულია ერთი სულით."

„ეს არის ყველაზე საიდუმლო არსებულ საზოგადოებათა შორის, რომლის წევრებიც სხვადასხვა საფეხურებიდან არიან და სხვადასხვა სფეროებს წარმოადგენენ. ეს გარკვეული სკოლაა. გარეშე სკოლა ყოველთვის ემყარება შინაგანს, რადგან მხოლოდ წარმოადგენს შინაგანის გარეგან წარმოსახვას. შიდა სკოლა ყოველთვის იყო, არის და იქნება რჩეულთა სკოლა... და მას ეწოდებოდა შიდა საკურთხეველი ან ტაძარი". მაგრამ როდესაც გამრავლდა ადამიანი, გაჩნდა სისუსტე, სიბნელე და ამპარტავნება მისი, წარმოიშვა საჭიროება გარეგნულისა, რომელიც სიმბოლოების უკან შინაგან სამყაროს - სულს და ჭეშმარიტებას მალავდა. მას შემდგომ, ადამიანს უწევს სპეციალურ ცერემონიალურ ტანსაცმელში გამოწყობილს, სიმბოლოებისა და რიტუალების გამოყენებით, შიდა სულიერ ჭეშმარიტებასთან მიახლოვება. 19-ე ს. ბოლოს, 20-ე საუკუნის დასაწყისში, როდესაც დაიწყო ოკულტიზმის „აღორძინება", ჯვრის სიმბოლოს მაგიური და მისტიური მნიშვნელობის სულ უფრო მეტი ვარიაციები გახდა ცნობილი. ბევრი ორგანიზაცია გამოთქვამდა პრეტენზიას ამ ტექნიკის, ცოდნის და რესურსის საკუთრებაში მოსაქცევად, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გამოყენებული მეთოდები საკმაოდ საეჭვო და ნაკლებად ეფექტიანი იყო.

საკმაოდ გავლენიანი მოძრაობა იყო მარტინიზმი. მისი წარმოშობა „უცნობ ფილოსოფოსთან", ლუი კლოდ დე სენ-მარტენთან და მის მასწავლებელთან - პასკუალესთან არის დაკავშირებული. ვინაიდან მარტინიზმი საკუთარ იდენტიფიცირებას ახდენს როგორც „ეზოთერული ქრისტიანული სარაინდო", რომელიც ინიციაციზე და კაბალაზეა დამყარებული და მათ რიტუალებში ჯვარს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია.

ჟან დანიელუს წიგნს „Les Symboles Chretiens Primitifs" (1961 წ. .გამოცემულს პარიზში) თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ ტაუ-ჯვრის მნიშვნელობებს. იგი ითვლებოდა „ინიცირების სიმბოლოდ" ძველ აღთქმაში და მისი კვალი მიდის უძველეს ინიცირებამდე. ტაუ-ჯვარს ასევე ჰქონდა მნიშვნელოვანი შინაარსი ძველეგვიპტურ, გნოსტიკურ, ელევსინიურ მისტერიებში, დიონისეს რიტუალებში, გაცილებით არე, ვიდრე ის იქნებოდა ნახსენები „გამოცხადებაში" და ქრისტიანობასთან მოხდებოდა მისი ასოციაცია. ისრაელის მღვდელმთავარი, კურთხევის დროს, იდებს ამ ჯვარს საკუთარ თავზე,,, მირონთან ერთად. ჩრდილოეთ აფრიკის პირველი ქრისტიანები ტატუირებას იკეთებდნენ და იხატავდნენ ამ ჯვარს შუბლზე, როგორც რწმენის სიმბოლოს. შუასაუკუნეებში კი რაბინები, სანამ დაიღუპებოდნენ ინკვიზიციის ცეცხლზე , ამ სიმბოლოს (ჯვრის) ვიზუალიზაციას ახდენდნენ, როგორც ტეტრაგრამატონის შემოკლებულ ვერსიას.

ამ რიტუალის ჩატარების დროს, ურჩევდნენ ჯვრის სიმბოლოს საკუთარ შუბლზე გამოსახვას, მარჯვენა ხელის დიდი თითით (კაბალისტური მეთოდის გამოყენებით ვიზუალიზაციის პარალელურად), მას შემდეგ რაც ადამიანი ღვთაებრივ შეწევნაზე ილოცებდა. ჯვრის გამოსახვას დიდი მნიშვნელობა აქვს რიტუალისათვის. ჯვრის გამოსახვა სამი თითით ხდებოდა, დიდი, საჩვენებელი და შუა თითით, რომელიც მოქმედი კოსმიური ძალის სიმბოლოები გახლდათ. ქრისტიანები, ჯვრის სიმბოლოს და პირჯვრის გადაწერას უდიდეს საკრალურ მნიშვნელობას ვანიჭებთ. პირჯვრისწერის შესრულების დროს ვაერთებთ მარჯვენა ხელის პირველ სამ თითს ერთად, ხოლო ორ დანარჩენს ე.წ. უსახელოს და ნეკას, ვხრით ხელის გულზე და ჩვენს სხეულზე ჯვარს გამოვისახავთ. სამი თითის შეერთება აღნიშნავს ჩვენს რწმენას წმინდა სამებისადმი - მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სულიწმინდა ღმერთისადმი; ორი მოხრილი თითი კი აღნიშნავს ჩვენს რწმენას ძე ღმერთის - იესო ქრისტესადმი, რომ მას აქვს ორი ბუნება - არის ღმერთი და კაცი, რომ ჩვენი ხსნისათვის განკაცდა ანუ ინება ამ ქვეყნად ადამიანად დაბადება. პირჯვარს ვიწერთ შუბლზე, რათა ჭეშმარიტი რწმენის და ჯვრის ძალით განვიწმინდოთ ჩვენი გონება და აზრები, მკერდს ქვემოთ - რათა განვიწმინდოთ გული და გრძნობები, მხრებზე - რათა განვიწმინდოთ ხორციელი ძალები და მოვიწვიოთ კურთხევა ჩვენს ხელთა საქმეებზე. „პირჯვრის გამოსახვას კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობაც აქვს: ქრისტეს ჯვარი, თავისი გარეგნული ფორმით სიმბოლოა ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულის ურთიერთ-კვეთისა, ერთობისა. ღვთისა და მოყვასისადმი თავდადებული სიყვარულით განმსჭვალული ცხოვრება ჯვარია; მარტო ჯვრით იდიდება ღმერთი, სხვანაირი დიდება მას არ ნებავს. ჯვარი არის ამქვეყნად ღვთის დიდებაც და ღვთის დიდების ნიშანიც.

სიტყვის არსი მასონობაში

და დასაწყისში იყო სიტყვა... დაკარგული სიტყვა, რომელსაც ყოველი მასონი ეძებს, ვინაიდან ის ოსტატის ხარისხში აყვანის დროს, მხოლოდ „შემცვლელ“ სიტყვას იღებს ლოჟაში, არის შექმნისა და წარმოშობის ძალის ტოლფასი. მასონური ინიციაციის დროს კანდიდატი თვალახვეულია, რიტუალის უმეტესი ნაწილი, მას შეუძლია მხოლოდ უსმინოს, თუ რა ხდება მის გარშემო, რას ეუბნებიან მას ლოჟის ოფიცრები, რა სიტყვებს წარმოსთქვამს ლოჟის ღირსეული ოსტატი. ეს დეტალი, მათვის ვისაც ეს "პროცესი" არ გაუვლია, შეიძლება უმნიშვნელოდ იყოს, მაგრამ ისინი, ვინც ეს პროცესი საკუთარ თავზე, თუნდაც ათწლეულების წინ გამოსცადა, დამემოწმებიან, რომ კარგად ახსოვთ, სიტყვა - სიტყვით, თუ რას ეუბნებოდნენ მათ, ვინაიდან (და ასეც უნდა იყოს) ინიცირების რიტუალის დროს სრული კონცენტრაცია სმენაზე და სიტყვის აღქმაზე ჰქონდათ. მათ, ვინც დაკარგული სიტყვა იპოვნა და ღმერთის ხმა შეისმინა, შეუძლიათ თავს ნამდვილი ოსტატი უწოდონ. დაკარგული სიტყვა იქნა ნაპოვნი და წარმოადგენს ჭეშმარიტ სიტყვას. შემცვლელი სიტყვა აღარ არის აუცილებელი. ოსტატი ჰირამ აბიფი, რომელიც მისმა სამმა დამხმარე თანამოძმემ განგმირა და მისი ლეგენდა, სიმბოლურად წარმოადგენს ადამიანების სურვილს მიიღონ დაუმსახურებელი ძალაუფლება და პრივილეგიები. სანამ ჩვენ ვერ მოვახერხებთ საკუთარ თავში დავამყაროთ ჰარმონია და გვქონდეს კავშირი ჩვენს შემქმნელთან, შიდა ოსტატთან, და სანამდეც ვტკეპნით სულიერ, შიდა ტაძრის შესასვლელ ზღურბლს, სანამ ვერ შევალთ შიგნით და ვერ მივიღებთ სიტყვას, მანამ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით გამოვიყენოთ „შემცვლელი სიტყვა“. ეს შემცვლელი სიტყვა კი რელიგიაა. სიტყვა რელიგიის ფესვია - relig , რომელიც „გაერთიანებას“ნიშნავს და ყველა რელიგიის მიზანიც ადამიანის აზროვნება - ცნობიერებისა და ღვთიურ ბუნების გაერთიანებაა.

კაბალაში მაგიის შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი ღვთაებრივი სახელების გამოყენება გარკვევით არის აღწერილი, მაგია წარმოდგენილი იყო, როგორც იშვიათი ფენომენი, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანის პრეროგატივა იყო და ისიც საგანგებო მდგომარეობის დროს, საკუთარი ფიზიკური და სულიერი სტაბილურობის რისკის ფასად. მიუხედავად იმისა, რომ კაბალისტურ ნაშრომებში, გაფრთხილებაა მაგიის გამოყენებისაგან თავის შესაკავებლად, კონკრეტული მკაცრი აკრძალვა არ არის. ყოველთვის არ არის ნათელი, საუბარია მატერიალურ - ფიზიკურ მაგიაზე, თუ შიდა - სულიერ მაგიაზე. არ არსებობს თეთრი და შავი მაგია, იგი კონკრეტული ადამიანის ბუნებისა და სულიერი განწყობის ელფერს იღებს. თუ სული ბნელია და ადამიანი ავია, მაშინ ის ენერგია, რომელიც მისგან მაგიაში იდება, რა თქმა უნდა, „შავი მაგიის“ ელფერს იღებს, იყენებს რა „უწმინდურ სახელებს“, ზნედაცემული, გამოძევებული ანგელოზების სახელებსა და დემონურ ფიცს. ბნელმა მაგიამ, მიიღო მიმართულების, დინების სახეც, წარმოადგენს რა ებრაულ, არაბულ, სლავურ და გერმანულ მაგიურ დოქტრინებს, დემონოლოგიას და ჯადოქრობას. ბევრი ქრისტიანი მაგი ეცადა ba'al Shem - ის ტრადიციის გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები სასტიკად კრძალავენ ყოველგვარ მაგიას. ებრაული მაგიის საფუძვლებში არსებობს მაგიური „ანბანიც“, რომელიც აძლიერებს თილისმების და მაგიური გამოსახულებათა გამოყენებას. ყველაზე ადრეული ასეთი ანბანია - Kolmosin, რომელიც მთავარანგელოზ მეტატრონის სახელთან არის დაკავშირებული, ისევე როგორც სხვა რამდენიმე ანბანი დაკავშირებულია - რაფაელის, მიქაელის და გაბრიელის სახელებთან. ეს ანბანები არ უნდა აგვერიოს მასონურ ანბანთან, სიმბოლოების, ნიშნების ერთობასთან, რომლებსაც თავისუფალი ქვისმთლელები იყენებდნენ საკუთარ მიმოწერაში, შექმნილ მონუმენტების ხელმოწერაში, გარკვეული გზავნილების დაშიფვრაში

მასონური სიმბოლოთა ანბანი

იოჰან როიჰლინი დაიბადა 1455 წელს, მიიღო ფილოსოფიის დოქტორის წოდება 22 წლის ასაკში ბაზელის უნივერსიტეტში და ოთხი წლის შემდგომ კი - იურისტის ხარისხი პუატიეღის უნივერსიტეტში. ორმაცდაშვიდი წლის ასაკში, როიჰლინი სწავლობს ივრითს. ეს პერიოდი ებრაელებისთვის საკმაოდ მძიმე ხანაა, ზედიზედ მიყოლებით მათი მასობრივი დარბევები მიმდინარეობს, განსაკუთრებული სისასტიკით კი ესპანეთში - მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას მესვეურობით, ისევე როგორც მეზობელ პორტუგალიაში. როიჰლინი ებრაული ენის ცოდნას წარმატებით იყენებს და სწავლობს კაბალისტურ ტექსტებს პირდაპირ დედნებიდან. ორი წლის შემდგომ იგი გამოსცემს საკუთარ პირველ ნაშრომს "De Verbo Mirifico", ეს ნაშრომი მოგვიანებით ხდება „ქრისტიანული კაბალა". როიჰლინი ამტკიცებდა, რომ მან შეძლო იესოს „ჭეშმარიტი" სახელის აღდგენა, ივრითულ ენაზე, ტეტრაგრამატონის გამოყენებით - ებრაულად ღმერთის უთქმელი „ოთხასოიანი სახელის" - Yod-Heh-Vau-Heh (YHVH) ასო Sh (შ)-ს ჩამატებით (YHShVH). კაბალას „გაქრისტიანებით", როიჰლინმა ერთი პერიოდი შეძლო პოლიტი-კური ნეიტრალიტეტის დაცვა, თუმცა, საბოლოოდ, მაინც აღმოჩნდა ინკვიზიციის ტრიბუნალის წინაშე. ევროპაში ებრაელე-ბთან მიმართებით ორი „უმძიმესი" ბრალდება ისმოდა - ის, რომ ისინი არ იყვნენ ქრისტიანები (რაც აპრიორი უკვე „დანაშაული" იყო) და მეორე, - მათ ბრალს სდებდნენ იმაში, რომ წარმოადგენდნენ ერს, რომელიც ქრისტეს სიკვდილში იყო დამნაშავე, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მხოლოდ მცირე ჯგუფი იღებდა იესოს გასამართლებაში და ჯვარცმაში მონაწილეობას და დანარჩენმა იუდეამ არც კი იცოდა, რა ხდებოდა გოლგოთაზე და აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ იესოს ჯვარცმა თვით მისი მამის, შემოქმედის, ნება და გადაწყვეტილება იყო, რათა განეწმინდა კაცობრიობა მისი ცოდვებისაგან. მოკლედ, მიუხედავად საღი აზრისა და ლოგიკისა, ებრაელებს, მაშინაც - შავბნელ შუასაუკუნეების ეპოქაში და სამწუხაროდ დღესაც, თუნდაც, ჩვენს მზიან საქართველოში, ბრალს სდებდნენ ყველა დანაშაულში, რომელიც ქრისტეს წინააღმდეგ იყო მიმართული. რა თქმა უნდა, არავის გაჰკვირვებია (იმ პერიოდში), ებრაელი ერის ასეთი აქტიური დარბევები და არც იმპერატორ მაქსიმილიანე I-ის ბრძანება (1509 წ) დაეწვათ ყოველი წიგნი, რაც ებრაულ ენაზე არსებობდა. სწორედ ებრაულენოვანი წიგნების შენახვაში, ებრაელების ენის ცოდნაში, ებრაელი ერის სიმპათიაში და ერეტიკობაში დასდეს როიჰლინს ბრალი. მას მოუწია მაინცში დიდი ინკვიზიტორის წინაშე წარსდგომა, რათა ბრალდებებისაგან და შესაძლო სიკვდილით დასჯისაგან თავი დაეცვა. როიჰლინს გაუმართლა, რეგიონის ორმოცდაცამეტი ქალაქის წარმომადგენელმა, მოსახლეობის სახელით, დაიცვა იგი და მის არგუმენტებს დაუჭირა მხარი. ამასთან, როიჰლინს, სასამართლოს შემდგომ, რეგიონის რაბიმ უმნიშვნელოვანესი და საკმაოდ ძველი, ებრაულენოვანი ტექსტები გადასცა, რომელიც როიჰლინმა მოგვიანებით გამოიყენა საკუთარ ნაშრომებში, მათ შორის De Arte Cabalistica - კაბალის ხელოვნებაში, სადაც წარმოსახვითი დიალოგია პითაგორიანელსა და მუსლიმს შორის აღწერილი, რომელთა „მომრიგებელია" - მედიატორია ებრაელი, რომელიც მათ აღუწერს კაბალას, როგორც უძველეს ღვთაებრივ სიბრძნეს. იგი ხსნის, რომ ყოველი სახელი და ასო (ებრაულ ენაზე) არ წარმოადგენს მხოლოდ სიმბოლოს, მათ აქვთ კავშირი სულიერ არსთან, არსებებთან, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად, როიჰლინი საუბრობს ზოჰარზე და მაგიურ ტექსტზე სახელწოდებით სეფერ რაზიელი (რაზიელის წიგნი), რომლის ავტორობა მიეწერება მთავარანგელოზ რაზიელს. რაზიელი, რომლის სახელიც ნიშნავს „ღმერთის საიდუმლოს", ღმერთის საიდუმლო სიბრძნის მცველს წარმოადგენს. სეფერ რაზიელი აღწერს "სიბრძნის ორმოცდაათ კარიბჭეს", რომელთაგან თვით დიად მეფესა და მაგს, სოლომონს, მხოლოდ ორმოცდაცხრა დაემორჩილა და გაიხსნა, ბოლო კარიბჭე კი მისთვისაც დახურული დარჩა.

მიჩნეული იყო, რომ ლოცვისა და მედიტაციის მეშვეობით შესაძლებელი იყო გარვეული სფეროების შეცნობა, განსაკუთრებული ცოდნის, სიყვარულისა და სიბრძნის მიღება. მლოცველი და ლოცვა უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე მაგიისა და ღვთაებრივი სახელების გამოყენება. ამ სფეროებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ეზეკიელის ხილვების შემდგომ, შეადარეს რა ბიბლიურ იაკობის კიბეს, მოგვიანებით კი, ეს სფეროები ვიხილეთ კაბალაში „სიცოცხლის ხის" სახით. გერშომ შოლემი აღნიშნავს: „კაბალა მომლოცველს აღიქვამს, როგორც ადამიანს, რომელსაც ზედა სამყაროსთან სურს დაკავშირება, იერარქიულ სტრუქტურებს შორის სულიერი ურთიერთკავშირის მეშვეობით... სულიერი სამყაროთა ონტოლოგიური იერარქია წარმოაჩენს საკუთარ თავს კაბალისტისადმი ლოცვის დროს, როგორც ღმერთის მრავალი სახელთაგან ერთ-ერთი. მომლოცველი, საკუთარი მედიტაციის (kavvanah) მეშვეობით, რომელიც კონკრეტულ სახელზეა ორიენტირებული, ახერხებს იმ სულიერ ურთიერთკავშირს, რომელიც მისი ლოცვის მიზანი იყო."

საინტერესოა რობერტ ფლუდის (იგივე ფლუკტიბუსი; 1574-1637), ნაშრომები, განსაკუთრებით კი მედიცინაში. ფლუდი მედიკოსი და ფიზიკოსი იყო, სწავლობდა ოქსფორდის უნივერსიტეტში და ლონდონის სამეფო კოლეჯის წევრი გახლდათ. მას მიაჩნდა, რომ ყველა სნეულების საფუძველი, ფესვი - ადამიანის საწყისს ცოდვაშია. მას სწამდა, რომ ყველა დაავადებას ზურგს უკან დემონი ედგა და ადამიანის მიერ შეცნობით თუ შეუცნობელად ჩადენილი ცოდვით იყო გამოწვეული, ხოლო ამ სნეულებებისგან განკურნების ერთადერთი საშუალება ანგელოზები და მათდამი ლოცვა გახლდათ.

"სიტყვის არსი მასონობაში"

დაახლოებით 1612 წელს, ფლუდი ხვდება მიხეილ მაიერს და ამ შეხვედრის შემდგომ, ფლუდი აქტიურ კავშირშია ჰერმეტიზმის როზენკროიცერულ მიმართულებასთან, რომელიც სწორედ ამ პერიოდში, განსაკუთრებით კი კონტინენტურ ევროპაში, ღვივდებოდა და ვითარდებოდა. მისი ავტორობით გამოდის ნაშრომი "Apologia Compendiaria Fraternitatem de Rosea Cruce" (1616 წ.). ფლუდი იყო თავისუფალი ქვისმთლელი, მასონი, რომელმაც როზენკროიცერული გამოცდილება, ტრადიციები და ფილოსოფია გააცნო მასონურ ორდენს დიდ ბრიტანეთში. როზენკროიცერული, ჰერმეტული და მასონური ფორმების, მათი ინიციაციების დაკავშირება მოხდა ფლუდის გარდაცვალებიდან ერთ წელიწადში, ჰენრი ადამსონის პოემაში „სამი მუზა" :

"For what we do presage is not in gross,
For we be brethren of the Rosie Cross,
We have the Mason's word and the second sight,
Things for to come we can fortell aright."

მსურს, იცოდეთ, რომ უძველესი და მიღებული შოტლანდიური წესდების რიტუალებში, სხვადასხვა ხარისხზე ხდება საიდუმლო სიტყვის გამჟღავნება ოსტატი მასონისთვის. ამ სიტყვის გახსნამდე, ოსტატ მასონს მხოლოდ შემცვლელ სიტყვას უმხელენ. კაზუსია, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ამ ერთი სიტყვიდან წარმოიშვა ორი ალტერნატივა (რომელნიც პრინციპში ერთი სიტყვის სხვადასხვა ვერბალური გამოთქმის გამოხატულებაა). ერთი შემცვლელი სიტყვა უფრო მეტად გავრცელებულია კონტინენტურ ევროპაში, ხოლო მეორე - ინგლისში, აშშ-ში და სხვა ინგლისურ ენოვან იურისდიქციებში. მეორე სიტყვა ზედა საფეხურების ფორმაციის დროს დამკვიდრდა. რაც ყველაზე საინტერესოა, ორივე სიტყვას საკუთარი საკრალური არსი, განსაკუთრებული და სპეციფიკური მნიშვნელობა გააჩნია მასონებისათვის, რომლებიც ილუმინაციის - სინათლის და განათლების გზას ადგანან. ამ სიტყვათა მნიშვნელობა დაფუძნებულია, როგორც მათ ეტიმოლოგიურ ებრაულ ფესვებზე, ასევე მათ მნიშვნელობაზე მასონური საუბრების დროს და ეზოთერიკულ შინაარსზე, ზოგადად. მინდა დავძინო, რომ ოსტატი მასონის საიდუმლო სიტყვა, ისევე როგორც მისი შემცვლელი სიტყვები, აღარ არის ისეთი საიდუმლო როგორც ადრე. იგი შესაძლოა მოიძიოთ ინტერნეტში და სხვადასხვა გამოცემებში. ამასთან, ეს მხოლოდ „ასოების" და „ბგერების" ერთობაა, მისთვის ვინც მისი შინაარსი, დანიშნულება, არსი და გამოყენება არ იცის.

შემცვლელი სიტყვა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ჭეშმარიტების პოვნის პროცესში დამარცხება, როგორც დამარცხდნენ ჰირამ აბიფის მკვლელები, ან როგორც გარდამავალი ხიდი ღვთაებრივი სიმართლის მოსაპოვებლად. თითოეული მასონი ეძებს დაკარგულ სიტყვას, დაკარგულს მაშინ, როდესაც ოსტატი ჰირამი იქნა მოკლული, ისევე როგორც ეძებს თორმეტი ოსტატი ჰირამის დაკარგულ სხეულს და უკან დაბრუნებისას წარმოადგენს იმ პირველ ბგერებს, ხმას, რომელიც მათ მოესმათ და დაკარგული სიტყვის შემცვლელის როლს თამაშობს. აქ დიდი სიმბოლიზმია, რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ ადამიანის ბგერითი სიტყვა არის მხოლოდ მისი შიდა სიტყვის - ღმერთის, კოსმოსის, სამყაროს დიადი არქიტექტორის სიტყვის შემცვლელი. მაგალითად, ეგვიპტეში იყო პტაჰი, მემფისის ტრიადის უფროსი ღმერთი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა, რომლისგანაც წარმოიშვა ყოველივე არსებული. ეგვიპტელები საერთოდ აკავშირებდნენ სიტყვის, ბგერის, ხმის საკრალურ მნიშვნელობას, მათ მიერ „გამოხატულ" მატერიალურ, არსებით საგნებთან, სამყაროსთან. ტოტი, ასევე ბერძნულ - ეგვიპტურ პერიოდში ცნობილი როგორც ჰერმესი (იგივე ჰერმეს ტრისმეგისტუსი), არის პტაჰის სიტყვების მიხედვით, ორმოცდაორი წიგნის ავტორი, რომლებიც უმკაცრესად იყო დაცული. ტოტი სიბრძნის, დამწერლობისა და მაგიის მბრძანებელი იყო. მისი სახელიდან მომდინარეობს ჰერმეტიზმის ეტიმოლოგიური სახელწოდება. ასევე საინტერესოა, რომ ეგვიპტეში არ არსებობდა სიტყვა „რელიგია", მხოლოდ "ჰეკუ", ანუ „მაგიური ან შემქმნელის ძალა".

ღმერთებს ორმაგი სახელები ჰქონდათ, ერთი „მასებისთვის", ხოლო მეორე შიდა, დახურული ცერემონიალების დროს გამოიყენებოდა. სახელების და სიტყვების ძალის რწმენა, გრძელდება იუდაიზმშიც, იგივე ოთხბგერიანი ღმერთის სახელი (ტეტრაგრამატონი), მხოლოდ ჩურჩულით გადაიცემოდა ბგერებით ერთის პირიდან მეორეს ყურში. იყო რწმენა იმისა, რომ თუ აღნიშნული სახელი ხმამაღლა იქნებოდა წარმოთქმული, მაშინ სრულიად ყოველივე შექმნილი დაუბრუნდებოდა საწყისს - ანუ გაქრებოდა. მასონური ენციკლოპედია ამტკიცებს, რომ დაკარგული სიტყვა, არაფერია თუ არა ძებნა ტეტრაგრამატონის სწორი ბგერითი წარმოთქმისა: იოდ-ჰეჰ-ვაუ-ჰეჰ.

ისე, ცნობილ საბავშვო რომან ჰარი პოტერში გვხდება პერსონაჟი, მთავარი „ბოროტმოქმედი", რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც „მას, ვისი სახელიც არ ითქმის"! ვინაიდან, საკმარისია მისი სახელის წარმოქმნა, რომ ის გაძლიერდეს და რაღაც უბედურება მოხდეს. არ გაგიკვირდეთ, იგივეა ქართულ კულტურაშიც, - „უხსენებელი" ....

მოკლედ დავძენ, რომ კაბალა აღიარებს წმინდა, ეზოთერულ „საუბარს", მას ის „მწვანე ენას" უწოდებს, ამ ფერის მკვეთრი ხაზგასმით, რომელიც სიცოცხლეს და სულის უკვდავებას აღნიშნავს. ხშირად ამ ენას, საუბარს „ჩიტების ენასაც" უწოდებენ, ცნობილია, რომ მეფე სოლომონს ეს ენა კარგად ესმოდა, ეს კი სიმბოლურად შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ სოლომონს კარგად ესმოდა მისი „მე"-ს (არსების) შიდა ხმა. აღმოსავლეთში, ინდოეთსა და ტიბეტში, გავრცელებულია მანტრა იოგა. მანტრა სანსკრიტული სიტყვაა და „გონების მცველს" ნიშნავს. აქაც ვხედავთ კავშირს ბგერითი და შინაარსობრივი ურთიერთკავშირისა. მედიტაცია და კაბალისტური რიგი სკოლები და მათი ფილოსოფია შეგვიძლია აზრობრივად დავაკავშიროთ მასონობასთან, რომელიც იყენებს მათ ეზოთერიკულ გამოცდილებას საკუთარ პრაქტიკაში. ქრისტიანობის განვითარების საწყის ეტაპზე, იოანე მოციქულის მთავარი მოწოდება იყო "In principio erta Verba" ანუ „და დასაწყისში იყო სიტყვა", რაც მიუთითებს იმაზე, რომ სიტყვის ძალის ხილვადი და უხილავი ზეგავლენა სამყაროზე, მის შექმნაზე, ბუნებაზე და მასში მიმდინარე პროცესებზე, მნიშვნელოვან მრწამს წარმოადგენდა ახლო და შორეულ აღმოსავლეთში. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ოსტატ ჰირამზე თავდასხმის დროს, მომხდურმა პირველ რიგში მას დარტყმა ყელში მიაყენა, როგორც ამბობენ იმისათვის, რომ ჰირამს საშველად არ მოეხმო. მაგრამ ვისთვის? ისინი მარტო იმყოფებოდნენ მშენებარე ტაძარში. სავარაუდოთ, ასეთი თავდასხმა აიხსნება იმით, რომ ჰირამს არ გამოეყენებინა საიდუმლო, საკრალური სიტყვები, რომლებიც მას დაიცავდნენ თავდამსხმელებისაგან, როგორც ბრძანა მაცხოვარმა: „მე, რომ მქონოდა სურვილი და ნება, ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი დაეშვებოდა ჩემს დასაცავად" (მათე 26:53). პოზიტიური, კეთილი და სუფთა საუბარი ადამიანის ჰარმონიის საწყისია, აუცილებელია სულიერი კეთილდღეობისათვის და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის. ამის საპირწონედ კი აუგი, ბინძური საუბარი, წყევლა, გინება, ა.შ. წარმოადგენს სულის დამძიმების, ფიზიკური ავადმყოფობებისა და აშლილობის საფუძველსა და გარანტიას. ამასთან, კაზუსია, თუ რატომ გაანადგურეს თვით თავდამსხმელებმა ჰირამის შესაძლებლობა წარმოეთქვა ის საიდუმლო სიტყვა, რომელსაც ისინი ასე დაჟინებით ითხოვდნენ. შესაძლოა იმიტომ, რომ მან ვინც ჭრილობა მიაყენა ჰირამს, დარწმუნებული იყო იმაში, რომ ოსტატი არ გატყდებოდა, საიდუმლო სიტყვას არ ეტყოდა მათ. ეს ასევე იყო პრევენცია იმისა, რომ ჰირამს საკუთარი თავის დასაცავად და მომხდურზე უკუთავდასხმისთვის არ გამოეყენებინა სიტყვები. ახალ აღთქმაში ჩვენ ვკითხულობთ, როდესაც იესო ავად არის, ის ამბობს: „წარმოსთქვით სიტყვა და მეც უმალვე განვიკურნები!" (მათე 8:8). ასევე, ახალ აღთქმაში ჩვენ ვკითხულობთ, თუ როგორ ავალებს მაცხოვარი მის მოციქულებს, მოიარონ ქვეყანა, მონათლონ, აზიარონ, მკვდრეთით აღადგინონ, განკურნონ და მოკლედ, განახორციელონ ყოველივე ის, რასაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ, „სახელითა სულისათა წმინდისა". ამ თეორიის განხილვა საკმაოდ მნიშვნელოვანია დღეს, მასონური ეზოთერული ცოდნისა და ფილოსოფიის შესაცნობად. არ დაგავიწყდეთ, ყველა სასწაული არის შესაძლებელი, მათი განხორციელება შესაძლო იყო, არის და იქნება და ისინი (სასწაულები) არიან ჰარმონიაში დღევანდელი ფიზიკის ყველა ცნობილ კანონთან. ადამმა არა მხოლოდ „დაარქვა" ანუ „სახელი მისცა" ცხოველებს, არამედ ისინი მოიყვანა არსებობაში, ისევე როგორც მოსემ, რომელმაც იცოდა წყლის „ჭეშმარიტი" სახელი - სიტყვა, მისი წარმოთქმით გამოადინა იგი ქვიდან. მასონობაში ასევე საინტერესო ალეგორიაა დაუსრულებელი ბაბილონის გოდოლის ისტორია, რომელიც დაკარგულ სიტყვასთან არის დაკავშირებული.

ბაბილონის გოდოლი, რომელიც შინარის ველზე შენდებოდა დარჩა დაუსრულებელი. გოდოლის მშენებლობის შეჩერების შემდგომ, მასონები, კაცობრიობის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, საუბრობენ სხვადასხვა ენაზე და შესაბამისად განიცდიან სირთულეებს მატერიალურ სამყაროში, წარმოადგენენ სხვადასხვა კულტურას, რასას და ენობრივ ჯგუფს. მასონობა მიმართულია „ბაბილონიზმის" წინააღმდეგ, ლოჟის შიგნით და სასურველია ლოჟის გარეთ, ძმებს შორის არსებული პოლიტიკუ-რი, რელიგიური, რასობრივი და სხვა განსხვავებების უგულველსა-ყოფად. ისევე როგორც ტაძრის ასაშენებლად, ასევე ბაბილონის გოდოლის ასაღორძინებლად საჭიროა სულიერი ინსტრუმენტები, რომლებიც ააგებენ აგურს აგურზე და მათ გაამაგრებენ ძმური სიყვარულითა და ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულებით.

სწორედ ამ ალეგორიის და ფილოსოფიის არსებობას მასონობაში არასწორად აღიქვამენ უსწავლელი ან რელიგიურ „ეიფორიაში" მყოფი ადამიანები. აიგივებენ რა ალეგორიულს სიბრძნეს „ფიზიკურად" ბაბილონის გოდოლისა და სოლომონის ტაძრის აშენების სურვილთან... უმეცრობა დანაშაულია?! ხშირად, ალბათ კი!!! ამიტომაც, ჩემს გარშემომყოფთ ვურჩევ - სანამ შეხვალთ ვინმესთან ღირებულ დისპუტში, მანამდე დისკუსიის საგნის არსი მაინც შეისწავლეთ, პრიზმის ყველა კუთხიდან გაეცანით სხვადასხვა არსებულ წყაროს, ინფორმაციას, გაანალიზეთ, იკითხეთ სხვისი პროფესიული აზრი და მხოლოდ დალაგებუ-ლი და გააზრებული არგუმენტების არსებობის შემდგომ, ჩაერთეთ რაიმეს კრიტიკაში ან დაცვაში, დისკუსიაში.

უპირველეს ყოვლისა, პატივი ეცით საკუთარ თავს, საკუთარ ღირსებასა და „მე"-ს. არცერთი მასონი არ ფიქრობს სოლომონის ტაძრისა და ბაბილო-ნის გოდოლის „ფიზიკურ", რეალურ დროსა და სივრცეში, მათ „მატერიალურ" აგებაზე. სოლომონის ტაძარი, თითოეული ჩვენთაგანის შინაგანი ტაძარია, შინაგანი სალოცავი, ადგილი სადაც ადამიანი უკავშირდება სამყაროს შემოქმედს. ვინ, როგორ და რით (გაუთლელი თუ გათლილი ქვით) ააგებს, როგორ მივა შემქმნელთან- საკუთარი არჩევანის და გონის, სულის სისუფთავის და გულწრფელობის საქმეა. ისევე როგორც, დაუსრულებელი ბაბილონის გოდოლი წარმოადგენს კაცობრიობის, ადამიანთა გამიჯვნის სიმბოლოს, სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ჯგუფებად. მისი „სულიერი", ყოველ ადამიანში „შინაგანის" დასრულება, წარმოადგენს კაცობრიობის ჰუმანური განვითარებისა და ურთიერთკავშირის საფუძველსა და გარანტს. მხოლოდ ჰუმანიზმს და სიყვარულს შეუძლია შეაღოს კარი შიდა ტაძარში, წმინდათა წმინდისაკენ (Sanctum Sanctorum) მიმავალ გზაზე, რომლისკენაც მიილტვის თითოეული მასონი, იმისათვის, რომ ააშენოს და დაასრულოს საკუთარი თავი, შეუერთდეს სინათლეს, სამყაროს შემქმნელს, ღმერთს. ჩვენი ძმა, შექსპირი ამბობდა: „არაფერია კარგი თუ ცუდი, არის მხოლოდ აზროვნება რომელიც ქმნის ასეთს."

დასასრულს შეგახსენებთ, რომ მასონობაში სამი სიტყვაა: დაკარგული სიტყვა, რომელიც სიმბოლოა დაცემის, ცოდვისა და ოსტატი ჰირამის მოკვლის, შემცვლელი სიტყვა, რომელიც ცვლის ჭეშმარიტებას რელიგიით, კანონებით და ავტორიტეტებით, იმისათვის, რომ არსებობდეს ჰარმონია და წესრიგი ადამიანურ ურთიერთობებში და განზომილებაში, ჭეშმარიტი სიტყვა, ეს არის შიდა ტაძრის გასაღები, პირადი გამოცდილება ღვთაებრივისა, შემქმნელთან ურთიერთობისა და ნეტარებისა.